დანართი

შპს არსის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: შორენა ხუბუნაია

წევრები:

ლევან მადათოვი
ნანა ვერულაშვილი
ბარბარე გონაშვილი
თათია გივიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **არსი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **216427999**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს არსის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების მიზნით წარმოდგენილი საავტორიზაციო განაცხადის საფუძველზე, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 24 მაისის MES 6 23 0000587051 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), ლევან მადათოვი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი), ნანა ვერულაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი), ბარბარე გონაშვილი, დარგის ექსპერტი (წევრი), თათია გივიშვილი, დარგის ექსპერტი (წევრი) (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაგვევალა მიმდინარე წლის **6, 7 და 8 ივნისს** დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ქვემო ქართლის რეგიონში, რუსთავი /3700/, აფხაზეთის ქუჩა N 12 (ყოფილი მისამართი: ჟ.შარტავას გამზ. N 4).

შპს არსის (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და საოქმო გადაწყვეტილებებს. კოლეჯში ბოლო ვიზიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

განხორციელდა 2021 წლის ნოემბრის თვეში, ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით.

2023 წლის 29 მაისსს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულე-ბების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

2023 წლის 6, 7 და 8 ივნისს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს (3 პირი), პროფესიულ სტუდენტებს (18 პირი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს (სულ 16 პირი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (6 პირი), განხორციელდა ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

განხორციელებაში ჩართულ ორგანიზაციებში, დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ავტორიზაციის ფარგლებში დაწესებულების განვითარების დინამიკა, ძირითადი მიღწევები და გამოწვევებები, რაც ჰქონდა კოლეჯს ბოლო 6 წლის განმავლობაში, რა ღონისძიებები განახორციელა კოლეჯმა განვითარების მიმართულებით და როგორ გეგმავს არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გამოყენებას მომავლ საქმიანობაში. ზეამოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების <u>ძლიერი მხარეებია:</u>

- წლების დაგროვილი გამოცდილება პროფესიული განათლების მიმართულებით;
- საკუთარი სასწავლო ფართი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი მაღალკვალიფიციური პროფესიული პერსონალი;
- კონსტრუქციული თანამშრომლობა პროგრამების განხორციელებაში ჩართულ ორგანიზაციებთან;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

<u>გასაუმჯობესებს მხარეებად მიჩნეულია:</u>

- ახალი შენობის აშენება და უფრო ხელსაყრელ ადგილზე გადასვლა (დაწესებულება საკუთრებაში ფლობს მიწის ნაკვეთს);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

- ორგანიზაციული მართვის მოწყობისა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების სწორი დელეგირება, ანგარიშვალდებულებების ეფექტური მექანიზმების დანერგვა-ამოქმედება;
- დაწესებულების პოპულარიზაციაზე მიმართული ღონისძიებების გაძლიერება, შეფასება და რელევანტური მეთოდების გამოყენება;
- ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, სადაც გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების ეფექტური მექანიზმების დანერგვა-ამოქმედება.

დაწესებულებას მეტწილი შესაბამისობით ჰქონდა შეფასებული კომპიუტერული ტექნიკის ფლობის კომპონენტი და წარმოდგენილი იყო გეგმა 14 კომპიუტერის შესყიდვის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი კომპიუტერული ტექნიკა და მათი შესყიდვის დოკუმენტები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 25 ივლისის MES 2 23 0000926014 კორესპოდენციით წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის შეფასების შედეგებთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის შეფასებებს ყველა კომპონენტთან მიმართებით, თუმცა ბუნდოვანია დაწესებულების პოზიცია საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან დაკავშირებით, კერძოდ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში პროგრამას ჰყავდა ორი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი), მათ შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ერთი - ბიოლოგის კვალიფიციით, მეორე - ექიმი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეების მიხედვით, ხსენებულ ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს ჰქონდა აქტიური შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან და გაწერილი იყო პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მოვალეობები, რომლებსაც ისინი ასრულებდნენ, ექსპერტთა ჯგუფი არაერთხელ შეხვდა აღნიშნულ პირებს, კვალიფიკაცით ბიოლოგი, ქალბატონი მ.ჯ მთელი დღის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ექსპერტთა მუშაობაში, ინტერვიურებაში და ხელს უწყობდა ექსპერტთა მუშაობას. ექსპერტთა ჯგუფი სამივე დღის ბოლოს მიგნებების წარდგენისას პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ ხარვეზს აფიქსირებდა დაწესებულების წინაშე, თუმცა მათ განსხვავებული პოზიცია არ წარმოუდგენიათ. რეავტორიზაციის მიზნებისათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - საექთნო საქმე პროგრამის ხელმძღვანელებად განსაზღვრულია - მ.ჯ. (კვალიფიკაციით ბიოლოგი) - თეორიული ნაწილის ხელმძღვანელი და ზ.მ. (კვალიფიკაციით ექიმი) კლინიკური ნაწილის ხელმძღვანელი (იხილეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველი გვერდი). ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ წარმოუდგენია პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილებების აქტი, გაფორმებული ხელშეკრულება და/ან ბრძანება ან/და სხვ. პროგრამის ხელმძღვანელთა შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების თაობაზე. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში აღწერს იმ გარემოებას, რომელიც ვიზიტის დროს არ განხილულა, შესაბამისად მიიჩნევს რომ მოცემული საკითხი არ საჭიროებს გაუმჯობესებას და არ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ვინადან ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს არც ერთი მყარი არგუმენტი, რაც დაადასტურებს წინამდებარე დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღწერილი გარემოებებისა და დაწესებულების მიერ რეავტორიზაციის მიზნებისათვის ან ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგნილი/გამოგზავნილი დოკუმენტების/მტკიცებულებების საპირისპიროს, ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს საფუძველი და ავტორიზაციის დებულების (სტანდარტების) მოთხოვნათა შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებობას შეცვალოს საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას, მე-2 სტანდარტის შეფასება. რაც შეეხება მე-4 და მე-5 სტანდარტის შეფასებას, ხარვეზად მიჩნეული გარემოებების გაუმჯობესებისთვის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა და ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ განსაზღვრული 6 თვე საკმარისია შესაბამისი პროცესების გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**შეესაბამება**	**მეტწილად შეესაბამება**	**ნაწილობრივ შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებებ	☒	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☐	☒	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი II

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო საქმე

სტანდარტის 2.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „არ არის შესაბამისობაში“, ვინაიდან:
ინდიკატორი 2.2.1.4 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს არ აქვთ დარგობრივი კომპეტენცია, მათ უდასტურდებათ ერთს - ექიმის და მეორეს ბიოლოგის კვალიფიკაცია. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი IV

სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან:
ინდიკატორი 4.1.1.1 არ არის დაკმაყოფილებული, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და საჭიროებს მოდიფიცირებას, დასაზუსტებელია კოლეჯის მართვის ორგანოები და მათი შემადგენლობა/უფლებამოსილებები, დასაზუტებელია კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის და ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები, დასაზუსტებელია ტერმინების (დეკანი, ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭო) რელევანტურობა პროფესიული განათლების სპეციფიკასთან.

ინდიკატორი 4.1.1.2 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დასაზუსტებელია კოლეჯის მართვის ორგანოები და მათი შემადგენლობა/უფლებამოსილებები, დასაზუტებელია კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის და ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები.

ინდიკატორი 4.1.1.3 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და თანაშემწის ფუნქციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ასევე მოიცავს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან, პერსონალის მართვასთან, პროფესიული სტუდენტების კარიერულ მართვასთან და სხვ. პროცესთან დაკავშირებულ მოვალეობებს.

ინდიკატორი 4.1.2.1 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესეულებაში პერსონალის მართვის პროცესები ნაწილობრივ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის მიხედვით, შესაბამისად პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ არის სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან, არასრულადაა წარმოდგენილი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ცნობა - „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“.

ინდიკატორი 4.1.2.2 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები არასრულად უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას, ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, დაწესებულებამ გადახედოს პერსონალის შერჩევის პოლიტიკასა და პროცედურებს და პერსონალის შერჩევისას სხვა მოთხოვნებთან ერთად, გაითვალისწინოს კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.1.2.3 არ არის დაკმაყოფილებული, პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, გადახედვას საჭიროებს საექთნო საქმის პროფესიული განათლების პროგრამის ხელმძღვანელისა და დაწესებულების კანცელარიის თანამშრომლის კვალიფიკაციის შესაბამისობა კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ამასთან, დაწესებულებამ 2023 წლის 24 ივლისის №073 წერილით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვით, დაწესებულებას ხავეზის გამოსწორებისთვის იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისი აქტივობები, ხოლო მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული პერიოდი, სხვა აქტივობების შესრულების პარალელურად, საკმარისია პროცესის სწორი ანალიზისა და თანმივდევრული განხორციელების შემთხვევაში, გაუმჯობესებულ იქნეს პერსონალის მართვასთან, ხარისხის უზრუნველყოფასა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების სწორ დელეგირებასთან დაკავშირებული საკითხები.

სტანდარტი V

სტანდარტის 5.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან:

ინდიკატორი 5.2.2.2 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, თუმცა არ ფუნქციონირებს სრულფასოვნად.

ამასთან, დაწესებულებამ 2023 წლის 24 ივლისის №073 წერილით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვით, დაწესებულებას ხავეზის გამოსწორებისთვის იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისი აქტივობები, ხოლო მათი შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული პერიოდი, სხვა აქტივობების შესრულების პარალელურად, საკმარისია პროცესის სწორი ანალიზისა და თანმივდევრული განხორციელების შემთხვევაში, გაუმჯობესებულ იქნეს ელექტრონული საქმისწარმოების სრულად იმპლემენტაციის საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი I

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ რელევანტურად განსაზღვროს ცალკეული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, რაც უნდა გამომდინარეობდეს პერსონალისათვის დელეგირებული ფუნქცია-მოვალეობებიდან ან/და პროცესიდან.

სტანდარტი II

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: საფინანსო სერვისები, ფარმაცია, საექთნო საქმე

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, თუმცა რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას მეტი სიზუსტით განხორციელდეს ხარჯებისა და შემოსავლების კალულაცია, ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივი ხარჯები და შედეგები გაითვალისწინოს მომდევნო ჯგუფის სწავლების პროცესის დაგეგმვისას.

ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა რეკომენდებულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის, დაწესებულებამ პროცესში ჩართოს დარგის სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. თუმცა რეკომენდებულია, დაწესებულებამ პერსონალის შერჩევისას (პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის მოდულების განაწილებისას) მაქსიმალურად გაითვალისწინოს პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის თავსებადობა შესასრულებელ მოვალეობებთან.

ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობაში მოიყვანოს ფარმაციის ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესი და განსაზღვროს მხოლოდ იმ რესურსების გამოყენებისა და უტილიზაციის მექანიზმები, რომელთა გამოყენება წარმოებს ლაბორატორიაში სასწავლო მიზნებისათვის. ასევე, რეკომენდებულია პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასება გათვალისწინებული იქნეს სასწავლო გეგმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

სტანდარტი III

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, თუმცა, რეკომენდებულია 1. დაწესებულებამ თანმიმდევრულად განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადები და მოიყვანოს შესაბამისობაში კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებთან. 2. რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების სრულად დაგროვების გარდა, განსაზღვროს შუალედურ შეფასებაში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობისა და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულება. 3. რეკომენდებულია დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ქართული ენის მოდულებით სასწავლო პროცესის დაწყების პროცესს, რაც დაეხმარებათ პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო პროცესში ჩაერთონ სრულფასოვნად.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ ცალსახად განსაზღვროს ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის პროცედურა და გაცემის ვადები კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საკუთარი და მოზიდული რესურსით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულება შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების, უარის თქმის ცალსახა მექანიზმები და მოახდინოს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ამ მექანიზმებით სარგებლობის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

სტანდარტი IV

ინდიკატორის 4.2.1-ის ფარგლებში, ასევე რეკომენდებულია: 1. დაზუსტდეს პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების პირობები; 2. რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემა, სადაც განსაზღვრული იქნება მოდულში მითითებული საკონტაქტო საათების გარდა, დამატებითი სამუშაოს დატვირთვის ოდენობა; 3. რეკომენდებულია დაწესებულებამ განსაზღვროს ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ოდენობა იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს ადმინისტრაციული ფუნქციების სრულფასოვან შესრულებას.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.

სტანდარტი V

ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და მარაგების ინვენტარიზაციის წესი და ჩაატაროს ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა რეკომენდებულია შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა განახორციელოს რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების მართვის დოკუმენტირება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, თუმცა რეკომენდებულია საქმისწარმოების წესით განისაზღვროს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკა და დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხები მოვიდეს შესაბამისობაში კოლეჯში დანერგილ სისტემასთან (“eflow”).

ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ საქმისწარმოების წესით განსაზღვროს შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების ვადები კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

VIII. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯის მისია ხაზს უსვამს ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებას, აქცენტს აკეთებს თანამედროვე თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებაზე ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით რუსთავისა და ქვემო ქართლის მასშტაბით და ამ რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებას მიიჩნევს პრიორიტეტად. ასევე აღნიშნულია მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების გზით მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობის მიმართულებით კოლეჯის საქმიანობის საკითხები. კოლეჯი საკუთარი მისიით ეხმიანება პროფესიული განათლების ისეთ მიზნებს, როგორიცაა: „სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, ვიდაინ დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. მისიის მიხედვით, ირკვევა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია ორი მიმართულებით (ჯანდაცვა და ბიზნესის ადმინისტრირება) განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. მისია არის მოკლე, გასაგები და მამოტივირებელი, ამასთან ხაზს უსვამს რუსთავისა და ქვემო ქართლის რეგიონის ფარგლებში შრომის ბაზართან მჭიდრო თანამშრომლობით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე ორიენტირებულ მიდგომებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან.

3. დაწესებულების ხედვა და ღირებულებები თავსებადია კოლეჯის მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს.

დაწესებულების ხედვასა და ღირებულებებში გაცხადებული ორიენტირის პრაქტიკაში რეალიზების მიზნით, კოლეჯი ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ახორციელებს ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;
- შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფისთვის პარტნიორი დაწესებულების ჩართულობით ახორციელებს ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მოდულური (კოოპერაციული) მიდგომით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

- ბიზნესის ადმინისტრირებისა და ჯანდაცვის მიმართულებით ახორციელებს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებს;
- კოლეჯს ჰყავს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ჯანდაცვის მიმართულებით კვალიფიციური კადრები;
- კოლეჯის ადმინისტრაციული და პროფესიული განათლების მასწავლებელთა დამოკიდებულებები პროფესიული სტუდენტებისა და კოლეგების მიმართ, კოლეჯის დირექტორის უშუალო ჩართულობით წარმართული პერმანენტული სამუშაო შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან, მათი საჭიროებების გაზიარება და სხვა ღონისძიებები, იძლევა კოლეჯის ღირებულებებში გაცხადებული პრინციპების - *ერთობლივი გუნდური ძალისხმევით შექმნას ღია, მუდმივად სიახლეებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე* პრაქტიკაში რეალიზების საფუძველს, რაც დასტურდება კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- განვითარებადი და შრომის ბაზარზე რეალიზებადი საგანმანათლებლო სივრცის შექმნისა და სრულყოფის მიზნებისათვის კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ დაწესებულებებთან, აქტიურადაა ჩართული პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, კოლეჯის პერსონალი ეცნობა სიახლეებს და უწყვეტად მიმდინარეობს დარგისა და საგანმანათლებლო სიახლეების ურთიერთგაზიარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

4. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები კოლეჯის მიერ მოდიფიცირდა 2023 წელს და გაზიარებულია კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, პერსონალისა და პარტნიორი დაწესებულებების მიერ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ კოლეჯის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია საზოგადოების ფართო წრისათვის და განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

დაწესებულება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისათვის იყენებს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N1-02 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს - „საზოგადოებრივი კოლეჯი „არსის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“, სადაც გაწერილია კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებასა და ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის აღწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების თანამონაწილეობითი პროცესი, ჩართული და დაინტერესებული პირები, პროექტის გაცნობისა და განხილვის გზები, შინაარსის განსაზღვრასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური მიდგომები და სხვა.

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N1-02 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებრივი კოლეჯი „არსის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 იანვრის №1-02 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯი არსის განვითარების 7 წლიანი დაგეგმარება- 2021 - 2027 წლები“;
3. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის კოლეჯის მისიის, (ხედვა, ღირებულებები) გაცნობის ფურცელი;
4. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის კითხვარის ფორმა და შევსებული კითხვარები კოლეჯის მისიის, (ხედვა, ღირებულებები) გაზიარების/უკუკავშირის მტკიცებულებები;
5. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;
6. კოლეჯის ვებგვერდი - https://collegearsi.ge/
7. კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტები მუშავდება გუნდურად, კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების აქტიური ჩართულობით და დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 იანვრის №1-02 ბრძანებით დამტკიცებულია „კოლეჯი არსის განვითარების 7 წლიანი დაგეგმარება- 2021 - 2027 წლები“, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 09 თებერვლის №1-06 ბრძანებით.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტები განხილულია კოლეჯის მრჩეველთა საბჭოს მიერ, შეფასებული და გაზიარებულია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის მიერ, ხოლო მათი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, ისინი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N1-02 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი - „საზოგადოებრივი კოლეჯი „არსის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“, სადაც გაწერილია კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, დამტკიცებისა და ცვლილებების განხორციელების პროცედურა, განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მონაწილე მხარეები, დაინტერესებული პირები კერძოდ: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით კალენდარული წლის დასაწყისში იკრიბება კოლეჯის არაფორმალური ორგანო - მრჩეველთა საბჭო - რომლის შემადგენლობაში შედიან კოლეჯის დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი და მიმდინარე პერიოდისთვის მოქმედი სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელები - და აყალიბებენ კოლეჯის განვითარების ძირითად, მსხვილ ამოცანებს და მის შესაბამის აქტივობებს. საბოლოოდ შეჯერებული სახის მიღების შემდეგ დოკუმენტი დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

კოლეჯის სტრატეგიული გეგმა შეიქმნა 2021 წელს. დაინტერესებული პირებისათვის სტრატეგიული გეგმის გაცნობისა და პროცესში მათი ჩართულობის დასტურად წარმოდგენილია კოლეჯის მისიის, (ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის გაცნობის“ ფურცელი, რომელიც ხელმოწერილია კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების მიერ.

კოლეჯი სტრატეგიულ დოკუმენტებს, მათ შორის სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს მათი მოლოდინების გათვალისწინებას, მათ შორის გაითვალისწინება რეგიონის საჭიროებები, ვინაიდან კოლეჯის პარტნიორი დაწესებულებები ამავე რეგიონში ოპერირებენ, ხოლო კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ კოლეჯის სტრატეგიულ გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 იანვრის №1-02 ბრძანებით დამტკიცებულია „კოლეჯი არსის განვითარების 7 წლიანი დაგეგმარება- 2021 - 2027 წლები“, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 09 თებერვლის №1-06 ბრძანებით. კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება SWOT ანალიზს, სადაც განსაზღვრულია კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეები, პერსპექტივები და გამოწვევები. აღსანიშნავია კოლეჯის ძლიერი მხარეების ისეთი ასპექტები, როგორიცაა: წლების დაგროვილი გამოცდილება პროფესიული განათლების მიმართულებით, საკუთარი სასწავლო ფართი, რაციონალურად დაგეგმილი განვითარების მოკლე და გრძელვადიანი გეზი, პარტნიორების მზაობა პროფესიულ სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების თვალსაზრისით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და სხვ. გასაუმჯობესებელი მიმართულებებია: ახალი პროფესიული პროგრამების შეთავაზების შესაძლებლობები დაინტერესებული პირებისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სასწავლო გარემოს ახალ სივრცეში გადატანა, მოთხოვნიდან გამომდინარე კვოტის გაზრდის შესაძლელობა, სტუდენტთა კარიერულ დაგეგმარებაში ახალი ეფექტური გზების შეტანა, პარტნიორული კორპუსის გაზრდა, რეკლამირების მენეჯმენტი (ნოვატორული რეკლამირების ფორმების დანერგვა) და სხვ.

კოლეჯის სტრატეგიული მიმართულებებია: კოლეჯის სტრატეგიული განვითარება, საგანმანათლებლო პერსონალის შერჩევის პოლიტიკასა და პროცედურებთან პროგრამები/ სასწავლო პროცესის ორგანიზება /პროგრამების განვითარება, პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები, ადამიანური რესურსი, მატერიალური / საინფორმაციო/ ფინანსური რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია სტრატეგიული მიმართულებები, ამოცანები, აქტივობები, აქტივობების განხორციელების პერიოდი, რომელიც გაწერილი თვეების მიხედვით, აქტივობათა შესრულების ინდიკატორები, აქტივობათა შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, რესურსები და შესაძლო რისკები. თუმცა, ცალკეული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი არ არის რელევანტურად განსაზღვრული, მაგალითად: მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების პროგრამების დაგეგმარება/ განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი, შეფასების ვერიფიკაცია - ვალიდაციის პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, პერსონალის მუშაობის ეფექტურობის ანალიზის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სხვ. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დელეგირებისა და ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფაქტების შეფასება ვრცლად მოცემულია მე-4 სტანდარტის აღწერისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ რელევანტურად განსაზღვროს ცალკეული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, რაც უნდა გამომდინარეობდეს პერსონალისათვის დელეგირებული ფუნქცია-მოვალეობებიდან ან/და პროცესებიდან.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N1-02 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებრივი კოლეჯი „არსის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 იანვრის №1-02 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯი არსის განვითარების 7 წლიანი დაგეგმარება- 2021 - 2027 წლები“;
3. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 09 თებერვლის №1-06 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. კოლეჯის SWOT ანალიზის დოკუმენტი;
5. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაცნობის ფურცელი;
6. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის კითხვარის ფორმა და შევსებული კითხვარები კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაზიარების/უკუკავშირის შესახებ;
7. კოლეჯის ვებგვერდი - https://collegearsi.ge/
8. კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N1-02 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებრივი კოლეჯი არსის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის“ მიხედვით, მონიტორინგის პროცესი ეფუძნება თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ ანგარიშების წარდგენას სამოქმედო გეგმის, ხოლო სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში - წლიური ანგარიშების წარდგენას წერილობითი ფორმით, ბეჭდური სახით. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ამზადებს მონიტორინგის კვარტალურ/წლიურ ჯამურ ანგარიშს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ანგარიშის წარდგენის შემდგომ კოლეჯის დირექტორი გასცემს შესაბამის მითითებებს/რეკომენდაციებს იმ შემთხვევაში, თუ დადგა საჭიროება კონკრეტული აქტივობის შემდგომ პერიოდში გადატანაზე. კალენადარული წლის ბოლოს მონიტორინგის შედეგების ანალიზი წარედგინება კოლეჯის მრჩეველთა საბჭოს, ყალიბდება საბოლოო ანგარიში, რომელიც ქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. კოლეჯში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ხარისის მართვის მენეჯერი.

კოლეჯმა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების განხორციელების დასტურად წარმოადგინა - 2022 წლის სამოქმედო გეგმის კვარტალური და წლიური აქტივობების შესრულების ანგარიში, რომლის მიხედვით ირკვევა სრულად, ნაწილობრივ ან შეუსრულებელი აქტივობები. ანალიზის დოკუმენტის მიხედვით, 2022 წელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი სრულად შესრულებულია. კოლეჯის 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

კოლეჯის სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2021 წელს, ხოლო მისი შუალედური შეფასების პერიოდი ჯერ არ გასულა, თუმცა დაწესებულების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენისას გადაიხედება სტრატეგიული გეგმით გაწერილი ამოცანების რელევანტურობა.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების, განხილვისა და შედეგების გათვალისწინების პრაქტიკა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

2. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, კოლეჯი აწარმოებს კვარტალურ ანგარიშგებას, აქტივობების შესრულების მონიტორინგს და ადგენს წლიურ ანგარიშს, სადაც შეფასებულია ცალეკული აქტივობების შესრულების ფაქტები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების რელევანტურობისა და შედეგების ანალიზის მიზნით, დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა და დამსაქმებელთა, პერსონალის გამოკითხვებს და აანალიზებს შედეგებს. დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას მიმდინარეობს სტრატეგიული გეგმის გადახედვა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისა და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის პროექტებს დაწესებულება განიხილავს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე, ხოლო მიღებულ უკუკავშირს ცვლილების სახით ასახვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

სტრატეგიულ დოკუმენტებში. აღნიშნულის დასტურად კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში განხორციელებულია ცვლილება 2023 წლის 02 თებერვალს (ბრძ. №1-05). ცვლილება შეეხო ცალკეული აქტიობების დაზუსტებას და შესრულების ინდიკატორების განსაზღვრას.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების, განხილვისა და შედეგების გათვალისწინების პრაქტიკა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

3. კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების კოლეჯის სამოქმედო გეგმა და 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N1-02 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებრივი კოლეჯი „არსის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 იანვრის №1-02 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯი არსის განვითარების 7 წლიანი დაგეგმარება- 2021 - 2027 წლები“;
3. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 09 თებერვლის №1-06 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. კოლეჯის ერთწლიანი გეგმის შესრულების კვარტალური ანგარიშები და მათი განხილვის ოქმები;
5. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაცნობის ფურცელი;
6. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის კითხვარის ფორმა და შევსებული კითხვარები კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაზიარების/უკუკავშირის შესახებ;
7. კოლეჯის ვებგვერდი - https://collegearsi.ge/
8. კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“, რომლის მე-2 თავი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებთან.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

არსებობისა და დადასტურების წესები (შესაბამისი დოკუმენტები). ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 სექტემბერს გამოიცა №2-47 ბრძანება - „საფინანსო სერვისების პროფესიულ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტებისათვის მიმღები კომისიის შექმნის შესახებ“. ბრძანებაში განსაზღვრულია: კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარედ განსაზღვრულია სს „ლიბერთი“ ბანკის რუსთავის სერვის ცენტრის მმართველი, კომისიის წევრები არიან პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი. განსაზღვრულია მოტივაციური გასაუბრების ჩატარების საკითხები და კომისიის ვალდებულებები. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კომისიის მუშაობის ამსახველი დოკუმენტები - გასაუბრების კითხვარები და შეფასებები, ასევე დათვალიერდა პროფესიული განათლების მართვის ელექტრონული სისტემა და კომისიის თითოეული წევრის მიერ შეტანილი შეფასებები/შეჯამებული ინფორმაცია.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის №1-26 ბრძანება გამოცემულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მეორადი ჩარიცხვის გამოცხადების შესახებ. მოტივაციური გასაუბრების შედეგებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა 2022 წელს. ანალოგიურად გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ საექთნო საქმისა და ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები. დაწესებულება იცავს კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ <u>შერჩევით</u> შემოწმდა დაწესებულების მიერ შეყვანილი ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთათვის სტატუსის მინიჭებასთან/შეჩერებასთან/შეწყვეტასა და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებით. პროფესიული სტუდენტების სტატუსის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვით, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები, შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არაა წინაღმდეგობაში კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებთან. კოლეჯს არ ჰყავდა არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“, რომლის მე-10 თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებებს, რომლის ბ) პუნქტში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ერთ-ერთ გარემოებად განსაზღვრულია აკადემიური შვებულება (საფუძველი: ავადმყოფობა, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მეურვეობა, ორსულობა, ახალშობილთა მოვლა, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა, უცხოეთში წასვლა); აკადემიური შვებულების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 2 სასწავლო წლისა; ამავე თავის მე-6 პუნქტის მიხედვით „6. სტუდენტის სტატუსი შესაძლოა, შეუჩერდეს არაუმეტეს 3 წლის ვადით; ამ ვადაში სტატუსის აღდგენის გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა; აღნიშნული ჩანაწერები არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებთან, თუმცა ამავე შიდა მარეგულირებელი აქტის მე-9 თავის 1-ლი მუხლის გ) ქვეპუნქტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ სტატუსის შეჩერების მიზეზის აღმოუფხვრელობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ თანმიმდევრულად განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადები და მოიყვანოს შესაბამისობაში კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება დაწესებულების წარმომადგენლებთან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა არ განხორციელებულა სტატუსის შეჩერების ვადების გასვლის საფუძვლით.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“, რომლის მე-11 თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პროცედურებს, რაც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

მოთხოვნებს. კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები, წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები და კოლეჯის დირექტორის ბრძანებები. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ, ასახულია პროფესიული განათლების მართვის სისტემაში.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“, რომლის მე-12 თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცედურასა და პირობებს, რაც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცედურების დამადასტურებელი მტკიცებულებები, კოლეჯმა წარმოადგინა ერთი პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მოთხოვნის განცხადება, კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, სადაც მოცემულია ჩანაწერი, რომ პროფესიული სტუდენტი არ საჭიროებს ინდივიდუალური გეგმის შედგენას, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ პროფესიული სტუდენტის აღდგენა განხორციელდა სწავლების იმ ციკლში, საიდანაც უნდა გაეგრძელებინა სწავლა.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“, რომლის მე-13 თავი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით“ განსაზღვრულ დებულებებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობით გადმოსული 2 პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცედურები განხორციელებულია კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“, რომლის მე-13 თავი არეგულირებს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება - ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესებს. ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით, კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

განსაზღვრული პროცედურები, დებულებები და წესები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან.“

ზემოაღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტის მე-15 თავი არეგულირებს არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურებს. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას, დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კოლეჯი ემზადება არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვებისთვის და რეავტორიზაციის წარმატებით გავლის შემდეგ დაიწყებს არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების პროცედურებს.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“, რომლის მე-13 თავი არეგულირებს ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს. აღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, რომელიც ამავდროულად ითვალისწინებს სსსმ პირთა სწავლების სპეციფიკას, პროცედურებს, მობილობით გადმოსული პირები, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან და პირები, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას. ერთ შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებელი მიმართავს ადმინისტრაციას და კოლეჯის შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროფესიულ მასწავლებელთან, თავად პროფესიულ სტუდენტთან და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან ერთად სასწავლო პროცესის მენეჯერი 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების ხელმძღვანელს; მეორე შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის მართვის მენეჯერის, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის ფარგლებში. მესამე შემთხვევაში შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროგრამების ხელმძღვანელი და ხარისხის მართვის მენეჯერი, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს სასწავლო ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით. რათა მოხდეს სტატუსაღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ინდივიდიაულური სასწავლო გეგმით მოსარგებლეთა დოკუმენტები. დაწესებულებაში ირიცხებოდა მობილობით გადმოსული ორი პროფესიული სტუდენტი, რომლებიც სარგებლობდნენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტებთან შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მათი დამტკიცების ბრძანებები, პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები, სწავლებისა და შეფასების მტკიცებულებები. დაწესებულება იცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით სწავლების პროცედურებს.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“, რომლის მე-20 თავი არეგულირებს უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით წინმსწრები განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საკითხებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები და არ დადასტურდა შემთხვევა, რომელიც სავალდებულოდ საჭიროებდა უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების დადასტურებას.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“, რომლის მე-9 თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში განსაზღვრულია შეფასების სისტემა, შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების შედეგების პროფესიული სტუდენტისათვის გაცნობის ვადები და პროცედურები, შეფასების შედეგების აპელაციის წესები. დოკუმენტში განსაზღვრული დებულებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები, სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგები და სხვა, ვრცლად იხილეთ მე-2 სტანდარტის აღწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“, რომლის მე-20 თავი არეგულირებს კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის პროცედურას, სადაც აღნიშნულია, რომ პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები სრულად, თუმცა არ არის აღნიშნული შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა თუნდაც საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. თუმცა, დაწესებულების მიერ განხორციელებულია შუალედური შეფასება საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, ხოლო საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარებულია თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტში საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში.

კოლეჯმა განახორციელა ქართული ენის ფლობის დადასტურება იმ პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში, რომლებსაც წინმსწრები განათლება მიღებული ჰქონდათ არაქართულ სექტორში სწავლით. წარმოდგენილია ოქმები და შეფასების ფურცლები, თუმცა ამ პროფესიულ სტუდენტებს მაინც უჭირთ კომუნიკაცია პროგრამის განხორციელების ენაზე. კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები ეხმარებიან მათ სასწავლო პროცესში, აწვდიან დამატებით მასალებს, თუმცა ეს მაინც გამოწვევაა მოცემული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ქართული ენის მოდულებით სასწავლო პროცესის დაწყების პროცესს, რაც დაეხმარებათ პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო პროცესში ჩაერთონ სრულფასოვნად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, ***თუმცა - 1. რეკომენდებულია დაწესებულებამ თანმიმდევრულად განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადები და მოიყვანოს შესაბამისობაში კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებთან. 2. რეკომენდებულია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დაწესებულებამ დააზუსტოს პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების სრულად დაგროვების გარდა, განსაზღვროს შუალედურ შეფასებაში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობისა და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულება. 3. რეკომენდებულია დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ქართული ენის მოდულებით სასწავლო პროცესის დაწყების პროცესს, რაც დაეხმარებათ პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო პროცესში ჩაერთონ სრულფასოვნად.

2. პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას სასწავლო პროცესის დაწყებამდე კოლეჯი აწყობს საორიენტაციო შეხვედრებს, სადაც განიხილავს სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთათვის მიწოდებული სერვისების, პროგრამის შინაარსის, პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის, პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისა და სხვა თემებთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, მათ შორის ფოტოები და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია. ექსპერტთა ჯგუფმა ეს ინფორმაცია გადაამოწმა 2021 და 2022 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, მათ დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ასევე აღნიშნეს, რომ გარდა საორიენტაციო შეხვედრისა, სასწავლო პროცესის განმავლობაში კოლეჯის ადმინისტრაცია სისტემატიურად ხვდება პროფესიულ სტუდენტებს, ეცნობა მათ საჭიროებებს, აძლევს მითითებებსა და რჩევებს და სხვა. კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად მუშაობს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისთვის. კოლეჯის წარმომადგენლები ყოველდღიურად დაუზარელად ახორციელებენ მათ მხარდაჭერას, ისინი სწავლობენ თბილ და ჰუმანურ გარემოში, სადაც დაცულია მათი უფლებები და ინტერესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

3. პროფესიულ სტუდენტებს შეფასების სისტემის, მათ შორის აპელაციის პროცედურების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ საორიენტაციო შეხვედრისას სასწავლო პროცესის მენეჯერისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კონკრეტული მოდულის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების სპეციფიკის, ვადებისა და პირობების შესახებ ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ უშუალოდ მოდულის განმახორციელებელი პირების მიერ. აღნიშნული ინფორმაცია ასევე ასახულია მოდულის კალენდარულ გეგმებში. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ. ექსპერტებმა სთხოვეს პროცესის აღწერა თუ როგორ ხდებოდა მათი შეფასებამდე ინფორმირება, როგორ იგებდნენ შეფასების შედეგებს, რა ღონისძიებები ტარდებოდა განმეორებითი შეფასების ან აპელაციის შემთხვევებში. პროფესიულ სტუდენტებმა დეტალურად აღწერეს შეფასების პროცესი, შედეგების გაცნობასთან დაკავშირებით დაასახელეს კოლეჯის პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობა, აღწერეს შეფასების შედეგების განხილვისა და უკუკავშირის პროცესი და მისი მნიშვნელობა მათი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რამდენიმე სტუდენტმა აღწერა განმეორებითი შეფასების პროცესი, რადგან მათ ისარგებლეს მოცემული სერვისით. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა თქმით შეფასების შედეგების აპელაციის საჭიროება არ ჰქონიათ, თუმცა იცნობენ პროცედურებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები, მათ შორის იყო სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და კურსდამთავრებულების პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებს. კოლეჯს არ ჰყავდა არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები, თუმცა კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირების ჩარიცხვისა და შესაბამისი დოკუმენტების შედგენის წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“, რომლის მე-13 თავი არეგულირებს ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს. აღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, რომელიც ამავდროულად ითვალისწინებს სსსმ პირთა სწავლების სპეციფიკას, პროცედურებს, მობილობით გადმოსული პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროებებს, ასევე განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას. ერთ შემთხვევაში დაკავშირებით პროფესიული მასწავლებელი მიმართავს ადმინისტრაციას და კოლეჯის შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროფესიულ მასწავლებელთან, თავად სტუდენტთან და ინკლუზიური განათლების სპეციალისტისტებთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების ხელმძღვანელს; მეორე შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის მართვის მენეჯერის, ასევე სასწავლო პრცესის მენეჯერის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის ფარგლებში. მესამე შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის მართვის მენეჯერი, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს სასწავლო ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით. რათა მოხდეს სტატუსაღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლეთა დოკუმენტები. დაწესებულებაში ირიცხებოდა მობილობით გადმოსული ორი პროფესიული სტუდენტი, რომლებიც სარგებლობდნენ ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

სასწავლო გეგმით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტებთან შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, და ამ გეგმების დამტკიცების ბრძანებები, პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები, სწავლებისა და შეფასების მტკიცებულებები. დაწესებულება იცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით სწავლების პროცედურებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
3. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 სექტემბერს გამოიცა №2-47 ბრძანება - „საფინანსო სერვისების პროფესიულ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტებისათვის მიმღები კომისიის შექმნის შესახებ“;
4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის №1-26 ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მეორადი ჩარიცხვის გამოცხადების შესახებ;
5. კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის შეწყვეტისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;
6. აქტიური, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

7. მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების, პროფესიული სტუდენტის თანხმობები ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის შესახებ;
8. პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
9. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
10. კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების პროფესიული სტუდენტები კოლეჯის პერსონალისგან კონსულტირებასა და მხარდაჭერას იღებენ შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

- პროფესიულ სტუდენტებს ჩარიცხვისთანავე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა;
- კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები სისტემატიურად ხვდებიან პროფესიულ სტუდენტებს, ეცნობიან მათ საჭიროებებსა და ახდენენ შესაბამის რეაგირებას;
- კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი მუდმივ რეჟიმში ახდენს კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებთან;
- პროფესიული სტუდენტები ჩართულნი არიან კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პლატფორმაში - Google და უწყვეტ რეჟიმში აქვთ შესაძლებლობა ეკონტაქტონ კოლეჯის ადმინისტრაციას, ისარგებლონ სასაუბრო რუბრიკის/ჩატი გამოყენებით, გაეცნონ ატვირთულ მასალებს და სხვ;
- პროფესიულ სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ ასევე გამოიყენება ელ. ფოსტა, სოციალური ქსელი და სხვა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლები გარდა საუდიტორიო მუშაობისა, მუდმივად კავშირში არიან პროფესიულ სტუდენტებთან და აძლევენ მათ შესაბამის რჩევებსა და უწევენ კონსულტაციას. პროფესიული განათლების მასწავლებლები პერსონალური მონაცემების დაცვით იხილავენ შეფასების შედეგებს და აძლევენ შესაბამის უკუკავშირს პროფესიულ სტუდენტებს;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ამავდროულად არიან ცალკეული მოდულების განმახორციელებელი პირები და შესაბამისად აქვთ ურთიერთობა პროფესიულ სტუდენტებთან.

ზემოაღნიშნული მექანიზმები გაწერილია კოლეჯის შემდეგ შიდა მარეგულირებელ აქტებში:

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;
- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის ზემოაღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. პროფესიულ სტუდენტებს ჩარიცხვისთანავე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომლის დროსაც კოლეჯის დირექტორის, პროგრამის ხელმძღვანელისა და კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მიეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯის მისიის, მიზნების, ხედვა და ღირებულებების, სამოქმედო გეგმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების თავისებურებების, შეფასების სისტემის, პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და მოვალეობების, პროფესიული სტუდენტისათვის კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების თაობაზე და სხვა.

პრაქტიკის ობიექტზე გაგზავნის წინ პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი და კონსულტაციები.

სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ღონისძიების პრაქტიკაში გამოყენება და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და პერსონალს უფლება აქვთ განცხადებით მიმართონ კოლეჯის ადმინისტრაციას და გამოითხოვონ შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტები (მაგალითად ცნობა, დიპლომი და სხვ). კოლეჯის მიერ აღნიშნული პროცესის განხორციელების ვადები არ არის დარეგულირებული. არსებული პრაქტიკის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვის მტკიცებულებები. დაწესებულემა წარმოადგინა შემოსული და გასული კორესპოდენციის ჟურნალები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ფაქტობრივი გარემოების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება არ არღვევს ინფორმაციის/დოკუმენტაციის გაცემის კანონმდებლობით დადგენილ ვადებს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას მათ განაცხადეს, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის ან სხვა სახის ადმინისტრაციული მხარდაჭერისთვის განსაზღვრული ვადები არასდროს არ დარღვეულა, მეტიც - როგორც წესი ერთი ან ორი დღის ვადაში ხდება კოლეჯის მხრიდან რეაგირება.

აღნიშნული ფაქტი ასევე დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ ცალსახად განსაზღვროს ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის პროცედურა და გაცემის ვადები კანონმდებლობის შესაბამისად.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

4. კოლეჯი პროფესიული სტუდენტების ინიციატივების დაკმაყოფილებასა და არაფორმალურ აქტივობებში მათ ჩართულობას უზრუნველყოფს საკუთარი ინიციატივების, პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანიზებით, კოლეჯის ან პარტნიორი დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართულობის გზით. კოლეჯში პროფესიული სტუდენტების ინიციატივების წარმოდგენის, განხილვისა და დადასტურების/უარის თქმის მექანიზმები დარეგულირებული არ არის, თუმცა პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების შესრულების არაერთი ფაქტი დასტურდება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს ფაქტი, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართული ღონისძიებებში, მათ ასევე ისაუბრეს საკუთარი ინიციატივების მხარდაჭერის შესაძლებლობებზე და აღნიშნეს, რომ არაერთი ღონისძიება ჩატარდა კოლეჯში, მათ შორის დასახელდა პოეზიის საღამოები, მივლინებები პარტნიორ დაწესებულებებში, დაგეგმილი ექსკურსიები, ჩატარებული საახალწლო ღონისძიებები და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საკუთარი და მოზიდული რესურსით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების, უარის თქმის ცალსახა მექანიზმები და მოახდინოს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ამ მექანიზმებით სარგებლობის თაობაზე.***

5. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ორტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის კითხვარები და ანალიზის დოკუმენტები. კოლეჯში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კმაყოფილების კვლევის ინსტრუმენტები ანონიმურია. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთვრებულებმა აღნიშნეს, რომ ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ კოლეჯის პერსონალთნ და დირექტორთან, მათ სურვილებსა საჭიროებს კოლეჯის პერსონალი პერმანენტულად ეცნობა და მხარს უჭერს.

ექსპერტთა ჯგუფმა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სთხოვა მაგალითის სახით დაესახელებინათ რამდენიმე მათგანი, პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს მათი ინიციატივები სტუდენტურ აქტივობებთან დაკავშირებით, რაც კოლეჯმა გაითვალისწინა და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებული, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიულ სტდენტებთან საორიენტაციო შეხვედრების მტკიცებულებები, მასალები, ფოტოები და ნიუსები, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე;
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;
3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
4. პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტების გაგზავნის ჩატარებული ინსტრუქტაჟისა და კონსულტაციების მტკიცებულებები;
5. შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალი, შემოსული და გასული კორესპოდენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

6. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანიზებით, კოლეჯის და პარტნიორი დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართულობის მტკიცებულებები;
7. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ორტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები;
8. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
9. კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს „პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების დაგეგმარების და კვლევის წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 12 ივნისს. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ განვითარებასა და პროფორინტაციის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის თანაშემწე. რისთვისაც, მოცემულ პროცესზე პასუხიმგებელებლი პირის საქმიანობა მოიცავს:

- სტუდენტების ხელშეწყობას დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში;
- სტუდენტების ინფორმირებას შრომის ბაზრის შესაძლებლობების, პერსპექტივების შესახებ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების საშუალებით;
- სტუდენტების დახმარებას პროფესიულ ორიენტაციასა და თვითგამორკვევაში, პრიორიტეტების განსაზღვრასა და საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში;
- სტუდენტების დახმარებას დამსაქმებლებთან ურთიერთობაში: თემატური ღონისძიებები, სემინარები, შეხვედრები, დასაქმების ფორუმები;
- დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობას პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. სასწავლო პროცესთან დამსაქმებელთა მეტად დაახლოებას პროგრამებში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
- დასაქმების ინტერნეტსაიტებზე არსებული ვაკანსიების რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს შრომის ბაზრის დინამიკასა და ტენდენციებზე დაკვირვებისა და აქტიური - დამსაქმებლების გამოვლენის მიზნით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

- შრომის ბაზრის კვლევების განხორციელებას კოლეჯის მასშტაბით, როგორც სტუდენტების, ასევე დამსაქმებლების პერიოდული გამოკითხვა ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდებაზე დაკვირვების მიზნით;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაციას;
- სტუდენტების მრავალკომპონენტიანი, კომპიუტერული რეესტრული ბაზის შექმნასა და მოხმარებას სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში.

პროფესიულ სტუდენტთა კარიერული განვითარების უზრუნელყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვებს, წარმოდგენილია გამოკითხვის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები. მიღებული შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების გეგმა და ცალკეული აქტივობების შესრულების ანგარიშები.

კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სერვისი მოიცავს შემდეგ აპექტებს: CV -ის შედგენას; სამოტივაციო წერილის შედგენას; გასაუბრებისათვის მოსამზადებელ კონსულტაციას.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს კოლეჯის მიერ განხორციელებულ კარიერული მხარდაჭერის ცალკეულ აქტივობებში - ტრენინგებში მონაწილეობა, პერმანენტულად ვაკანსიების მიღება. ამასთან აღნიშნეს, რომ კოლეჯის პერსონალი, პერიოდულად აწვდის მათ დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობებისა და ვაკანსიების, ასევე შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ პერმანენტულად მიეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურებს კოლეჯის კარიერული მხარდაჭერის ცალკეულ აქტივობებში - ტრენინგებში მონაწილეობა, კოლეჯიდან პერმანენტულად ვაკანსიების მიღება. ამასთან აღნიშნეს, რომ კოლეჯის პერსონალი, პერიოდულად აწვდის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას, მათი რეკომენდაციით არაერთი პროფესიული სტუდენტი და კურსდამთავრებული არის დასაქმებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებლთა დასაქმებასთან დაკავშირებულ კვლევებს. ბოლო კვლევების მიხედვით დასაქმების საშუალოდ 90%-იანი შედეგებია წარმოდგენილი. მოცემული მექანიზმები გაწერილია დოკუმენტში - „პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების დაგეგმარების და კვლევის წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 12 ივნისს. კვლევა წარმოებს ელექტრონულად, google პლატფორმის მიხედვით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შევსებული კითხვარები და მათი ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ორტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგების სავალდებულო ანალიზსა და მათი გათვალისწინების მნიშვნელობას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შევსებული კითხვარები და მათი ანალიზის დოკუმენტები. კოლეჯში კმაყოფილების კვლევის ინსტრუმენტები ანონიმურია. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთვრებულებმა აღნიშნეს, რომ ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ კოლეჯის პერსონალთნ და დირექტორთან, მათ სურვილებსა და საჭიროებს კოლეჯის პერსონალი პერმანენტულად ეცნობა და მხარს უჭერს. ექსპერტთა ჯგუფმა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სთხოვა მაგალითის სახით დაესახელებინათ რამდენიმე მათგანი, პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს მათი ინიციატივები სტუდენტურ აქტივობებთან დაკავშირებით, რაც კოლეჯმა გაითვალისწინა და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიულ სტდენტებთან საორიენტაციო შეხვედრების მტკიცებულებები, მასალები, ფოტოები და ნიუსები, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;
3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
4. პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტების გაგზავნის ჩატარებული ინსტრუქტაჟისა და კონსულტაციების მტკიცებულებები;
5. შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალი, შემოსული და გასული კორესპოდენცია;
6. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანიზებით, კოლეჯის და პარტნიორი დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართულობის მტკიცებულებები;
7. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები;
8. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
9. კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს მართავს დირექტორი, ხოლო კოლეჯის მართვის არაფორმალური ორგანო არის მრჩეველთა საბჭო. კოლეჯის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას კოლეჯის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს დირექტორი. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულებია: სასწავლო პროცესის სამსახური; ხარსხის მართვის სამსახური; საგანმანათლებლო პროგრამის/ების/დეპარტამენტის/ხელმძღვანელი/ები; კანცელარია; ბიბლიოთეკა; შრომის უსაფრთხოების სამსახური; დაცვის სამსახური; კომპიუტერული ცენტრი; დამხმარე სტრუქტურული ერთეულები (საფინანსო, სამეურნეო, დასუფთავების). კოლეჯს ჰყავს ასევე ექთანი, პროგრამის ხელმძღვანელები, ლაბორანტი და პროფესიული განათლების მასწავლებლები.

კოლეჯის ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულები წარმოდგენილია დაწესებულების სტრუქტურის მიხედვით. პერსონალის შემადგენლობა დაკომპლექტებულია ზემოაღნიშნული სტუქტურული ერთეულების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კოლეჯის მართვის არაფორმალური ორგანო - „მრჩეველთა საბჭო“ შეიმუშავებს კოლეჯის განვითარების რეკომენდაციებს. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე - სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი და მიმდინარე პერიოდისთვის არსებული სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელები. მრჩეველთა საბჭო ყოველი კალენდარული ან/და სასწავლო წლის დასრულებისას და პროგრამების შეფასების პროცედურების შემდეგ იკრიბება და აჯამებს თითოეული სასწავლო მიმართულებისა და ზოგადად კოლეჯის მუშაობის შედეგებს. მრჩეველთა საბჭო განსაზღვრავს კოლეჯში პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დირექტორისა და ხარისხის მართვის სამსახურისთვის სწავლების ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით. საბჭო აჯამებს კოლეჯის საქმიანობის წლიურ შედეგებს, შეიმუშავებს ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების ინდიკატორებს და მათი ანალიზის საფუძველზე აყალიბებს კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ და 1 წლიანი განვითარების გეგმას, რაც ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს დირექტორისთვის დასამტკიცებლად. ექსპერტთა შეფასებით, რეკომენდებულია დაწესებულების მართვის ორგანოდ მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და უფლებამოსილების გაფართოება. დაწესებულების განვითარებას ხელს შეუწყობს თუ საბჭო გახდება წარმომადგენლობითი და მის შემადგენლობაში შევლენ კოლეჯის პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლები, პირები, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას რეგიონის საჭიროებებისა და განვითარების შესაძლებლობების თაობაზე, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულებები და კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით სხვა პირები. ასევე, გაუგებარია ექსპერტთა ჯგუფისათვის მრჩეველთა საბჭოს დაქვემდებარების საკითხი. დაწესებულების სტრუქტურის მიხედვით, მრჩეველთა საბჭო ექვემდებარება კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურსა და სასწავლო პროგრამების/დეპარტამენტების ხელმძღვანელებს.

დაწესებულების წესდება არეგულირებს პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს, თუმცა პერსონალის ნაწილის ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულებების სისტემა დასაზუსტებელია, ასევე დასაზუსტებელია ისეთი დეტალები როგორიცაა ფაკულტეტის დეკანთან წარმომადგენლობით საბჭოსთან თანამშრომლობა, მაშინ როდესაც კოლეჯში მოცემული ერთეულები არ ფუნქციონირებს. მაგალითად, **სასწავლო პროცესის მენეჯერის თანაშემწე** ახორციელებს პროფესიული მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ინსტრუმენტების რევიზირება - ვერიფიკაციას; ამუშავებს და ამზადებს შეფასების შესაბამის „ჩეკ-ლისტებს“ (წესდება, მ. 5.2.4), თანაშემწის საქმიანობას უშუალოდ ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი (წესდება, მ 5.2.7.); თანაშემწე ასრულებს ხარისხის მართვის მენეჯერისგან დელეგირებულ სხვა უფლება - მოვალეობებს (წესდება, მ 5.2.8.); **ხარისხის მართვის მენეჯერი** ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის პროცედურას (წესდება, მ. 6.3/კ), შიდა და გარე მობილობის, არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურების ორგანიზებას და დოკუმენტირებას (წესდება, მ. 6.3/მ), კოლეჯის სტუდენტური კონტიგენტის სსსმ და შშმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობას შესაბამის სასწავლო მიმართულების დეკანთან ერთად (წესდება, მ. 6.3/ნ), ო) კოლეჯი „არსის“ წარმომადგენლობითი საბჭოს ერთეულთან ერთად კოლეჯის მოკლე და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება და შესრულება (წესდება, მ. 6.3/ო); **ხარისხის მართვის მენეჯერის თანაშემწე** 6.2.4 უშუალოდ ხელმძღვანელობს პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ და კარიერულ კონსულტირებას (წესდება, მ. 6.2.4), ხელს უწყობს უწევს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ექსტრაკურიკულური უნარებისა და აქტივობების განხორციელებას (წესდება, მ. 6.2.5).

დაწესებულების წლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით (ამონარიდი გეგმიდან) -

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია ისეთი აქტივობების შესრულებაზე, როგორიცაა:

- მოკლევადიანი მომზ.გადამზადების პროგრამების დაგეგმარება/ განხორციელება;
- პროგრამების პრაქტიკული ნაწილის განხორციელების უზრუნველყოფა შესაბამის და საკმარისი რაოდენობის პარტნიორ ორგანიზაციებთან (აქტივობის შესრულებაზე ასევე პასუხისმგებელია დირექტორი);
- კარიერული მომსახურების მხარდაჭერის მომსახურების უზრუნველყოფა;
- კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებათა უზრუნველყოფა.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია ისეთი აქტივობების შესრულებაზე, როგორიცაა:

- შეფასების ვერიფიკაცია - ვალიდაციის პროცესის ორგანიზება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

- პერსონალის მუშაობის ეფექტურობის ანალიზი.

კოლეჯის პერსონალისათვის ფუნქცია-მოვალეობებისა და სამუშაო პირობების შესახებ ინფორმაციის გაცნობის ფაქტი დასტურდება პერსონალის ხელმოწერილი დოკუმენტებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 ფასდება მეტწილად შესაბამისი, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და საჭიროებს მოდიფიცირებას, დასაზუსტებელია კოლეჯის მართვის ორგანოები და მათი შემადგენლობა/უფლებამოსილებები, დასაზუტებელია კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის და ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები, დასაზუსტებელია ტერმინების (დეკანი, ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭო) რელევანტურობა პროფესიული განათლების სპეციფიკასთან, თუმცა დაწესებულებამ 2023 წლის 24 ივლისის №073 წერილით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვით, დაწესებულებას ხავეზის გამოსწორებისთვის იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისი აქტივობები, ხოლო მათი შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული პერიოდი, სხვა აქტივობების შესრულების პარალელურად, საკმარისია პროცესის სწორი ანალიზისა და თანმივდევრული განხორციელების შემთხვევაში, გაუმჯობესებულ იქნეს პერსონალის მართვასთან, ხარისხის უზრუნველყოფასა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების სწორ დელეგირებასთან დაკავშირებული საკითხები.

2. დაწესებულების წესდება არეგულირებს პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს, თუმცა პერსონალის ნაწილის ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულებების სისტემა დასაზუსტებელია, კერძოდ პერსონალი, რომელმაც უნდა შეასრულოს კონკრეტული პოზიციისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ლოგიკურად დელეგირებული ფუნქციები, თუმცა ფორმალურად არაფორმალურად შეასრულებს სხვა ფუნქციებს, ის ვერ შეასრულებს ძირითად ფუნქციებს. მაგალითად, თუ **სასწავლო პროცესის მენეჯერის თანაშემწე** ახორციელებს პროფესიული მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების რევიზირება - ვერიფიკაციას; ამუშავებს და ამზადებს შეფასების შესაბამის „ჩეკ-ლისტებს" (წესდება, მ. 5.2.4), თანაშემწის საქმიანობას უშუალოდ ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი (წესდება, მ 5.2.7.); თანაშემწე ასრულებს ხარისხის მართვის მენეჯერისგან დელეგირებულ სხვა უფლება- მოვალეობებს (წესდება, მ 5.2.8.), მას ვერ დარჩება საკმარისი დრო სასწავლო პროცესის მენეჯერის ფუნქციების შესასრულებლად, მაშინ როდესაც შეფასების ისტემის ვერიფიკაციის პროცესის მართვა ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციაა. იგივე შეიძლება ითქვას **ხარისხის მართვის მენეჯერის** ფუნქციებზე, რომელიც სხვა მოვალეობებთან ერთად ასრულებს შიდა და გარე მობილობის, არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურების ორგანიზებას და დოკუმენტირებას (წესდება, მ. 6.3/მ), კოლეჯის სტუდენტური კონტიგენტის სსსმ და შშმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობას შესაბამის სასწავლო მიმართულების დეკანთან ერთად (წესდება, მ. 6.3/ნ), ო) კოლეჯი „არსის" წარმომადგენლობითი საბჭოს ერთეულთან ერთად კოლეჯის მოკლე და გრძელვადიანი გეგმების შემუშავებასა და შესრულებას (წესდება, მ. 6.3/ო); **ხარისხის მართვის მენეჯერის თანაშემწე** 6.2.4 უშუალოდ ხელმძღვანელობს პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ და კარიერულ კონსულტირებას (წესდება, მ. 6.2.4), ხელს უწყობს უწევს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ექსტრაკურიკულური უნარებისა და აქტივობების განხორციელებას (წესდება, მ. 6.2.5) და სხვ. ცდება ხარისხის მართვის მენეჯერის მოვალეობებს, ამ მოვალეობებს უნდა ასრულებდეს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო პროფესიულ სტუდენტებს პროფესიული და კარიერული კონსულტირება შეიძლება გაუწიოს ამ პროცესზე პასუხიმგებელმა პირმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 ფასდება მეტწილად შესაბამისი, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დასაზუსტებელია კოლეჯის მართვის ორგანოები და მათი შემადგენლობა/უფლებამოსილებები, დასაზუტებელია კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის და ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები, თუმცა დაწესებულებამ 2023 წლის 24 ივლისის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

№073 წერილით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვით, დაწესებულებას ხავეზის გამოსწორებისთვის იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისი აქტივობები, ხოლო მათი შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული პერიოდი, სხვა აქტივობების შესრულების პარალელურად, საკმარისია პროცესის სწორი ანალიზისა და თანმივდევრული განხორციელების შემთხვევაში, გაუმჯობესებულ იქნეს პერსონალის მართვასთან, ხარისხის უზრუნველყოფასა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების სწორ დელეგირებასთან დაკავშირებული საკითხები.

3. დაწესებულების წესდება არეგულირებს პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს, მათ შორის ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების - ხარისხის მართვის მენეჯერისა და თანაშემწის ფუნქცია-მოვალეობები, რის მიხედვითაც მოცემული პერსონალის ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან განახორციელონ პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული და კარიერული კონსულტირება, შიდა და გარე მობილობის, არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურების ორგანიზება და დოკუმენტირება, კოლეჯის სტუდენტური კონტიგენტის სსსმ და შშმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა, წლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით - მოკლევადიანი მომზ.გადამზადების პროგრამების დაგეგმარება/ განხორციელება; პროგრამების პრაქტიკული ნაწილის განხორციელების უზრუნველყოფა შესაბამისი და საკმარისი რაოდენობის პარტნიორ ორგანიზაციებთან (აქტივობის შესრულებაზე ასევე პასუხისმგებელია დირექტორი); კარიერული მომსახურების მხარდაჭერის მომსახურების უზრუნველყოფა; კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითრების ღონისძიებათა უზრუნველყოფა და სხვ. მაშინ როდესაც კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებებია:

- „პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პიროვნული და პროფესიული მახასიათებლების შეფასება, პროფესიული მასწავლებლის სასწავლო მეთოდები, სასწავლო პროცესის დაგეგმარება, რა დროსაც ფასდება ა) საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფა აუცილებელი ადამიანური რესურსით/ მისი საკმარისობა და კვალიფიციურობა პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

განხორციელებისთვის; ბ) თითოეული პროფესიული მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი საკურატორო მოდულების შესაბამისი კალენდარული გეგმები; სწავლის შდეგებისთვის შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები; გ) პროფესიული მასწავლებლის პედაგოგიური და პიროვნული მახასიათებლები; დ) სასწავლო მეთოდები; ე) სასწავლო პროცესის ორგანიზება; ვ) საუკეთესო გამოცდილება/ მიღწეული შედეგი. თუ ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია პერსონალის განვითარების ღონისძიებების განხორციელებაზე - თავად ვერ იქნება ამ კომპონენტის ობიექტური შემფასებელი, ასევე აღსანიშნავია, რომ პერსონალის შეფასების ანალიზის ფუნქცია წლიური გეგმის მიხედვით დელეგირებულია სასწავლო პროცესის მენეჯერისათვის;

- სასწავლო გარემო და რესურსები/ პრაქტიკის ბაზა; გარემოსა და რესურსების რელევანურობის შეფასება პროგრამის ადეკვატური განხორციელების კონტექსტში, რა დროსაც ფასდება: დ) პრაქტიკის განხორციელების ბაზა/ სტუდენტის მიერ პროფესიული უნარების ასათვისებლად პრაქტიკის ობიექტის მზაობა და ადეკვატური გარემოს შექმნა; ხელშკრულების პირობების განუხრელი დაცვა, მაშინ როდესაც კოლეჯის წლიური გეგმის მიხედვით ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორთან ერთად პასუხისმგებელია - პროგრამების პრაქტიკული ნაწილის განხორციელების უზრუნველყოფაზე შესაბამის და საკმარისი რაოდენობის პარტნიორ ორგანიზაციებთან და სხვ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, რომელთაც არაერთხელ აღნიშნეს მათი ჩართულობა კოლეჯის ყველა პროცესში, აღნიშნული ასევე დაადასტურეს პროფესიული განათლების მასწავლბლებმა, კოლეჯის სხვა პერსონალმა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 ფასდება მეტწილად შესაბამისი, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და თანაშემწის ფუნქციები ასევე მოიცავს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან, პერსონალის მართვასთან, პროფესიული სტუდენტების კარიერულ მართვასთან და სხვ. პროცესთან დაკავშირებულ მოვალეობებს, თუმცა დაწესებულებამ 2023 წლის 24 ივლისის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

№073 წერილით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვით, დაწესებულებას ხავეზის გამოსწორებისთვის იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისი აქტივობები, ხოლო მათი შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული პერიოდი, სხვა აქტივობების შესრულების პარალელურად, საკმარისია პროცესის სწორი ანალიზისა და თანმივდევრული განხორციელების შემთხვევაში, გაუმჯობესებულ იქნეს პერსონალის მართვასთან, ხარისხის უზრუნველყოფასა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების სწორ დელეგირებასთან დაკავშირებული საკითხები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა;
2. დაწესებულების წესდება;
3. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 09 თებერვლის №1-06 ბრძანებით დამტკიცებული 2023 წლის სამოქმედო გეგმა;
4. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები;
5. დაწესებულების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
6. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურეის შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესი რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მარტის №1-13 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკით. კოლეჯი „არსის“ პერსონალის მართვის პოლიტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ საყრდენს კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად სწავლა-სწავლებისა და ხარისხის განვითარება-გაუმჯობესების მიმართულებით. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად, კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა მიმართულია, რომ უზრუნველყოს: პროფესიონალი და მოტივირებული ადამიანური რესურსის მოზიდვის, განვითარების, წახალისებისა და შენარჩუნების მექანიზმების დანერგვა; პროდუქტიული სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება; სამართლიანი, ეთიკური და სამართლებრივი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება. მიზნის მისაღწევი მექანიზმებია:
1.პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და მიღების პროცედურების; 2. თანამდებობათა სამუშაო აღწერილობების; 3. ორგანიზაციაში ადაპტაციის ხელშეწყობის; 4. შესრულებული სამუშაოს მართვა/მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის; 5.პროფესიული განვითარების ხელშეწყობის; 6.წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობა/ გათავისუფლების წესების -დანერგვა/დახვეწა/ უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პერსონალის მართვის პროცედურები ასევე გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №1-04 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის შესაბამისად. დაწესებულებაში შინაგანაწესი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ა) შრომის დისციპლინასა და საგანმანათლებლო პროცესში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) კოლეჯის ადმინისტრაციასა და დასაქმებულებს შორის შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით; გ) დასაქმებულთა უფლებებისა და თვისუფლებების განხორციელების ხელშეწყობა; დ)შრომის ანაზღაურებას კოლეჯში დადაგენილი წესით; ე) კოლეჯის დასაქმებულების მიერ ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. კოლეჯის შინაგანაწესი არეგულირებს კოლეჯის პერსონალთან სამართლებრივ ურთიერთობებს. დოკუმენტში განსაზღვრულია დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები და ვალდებულებები, დისკრიმინაციისა და იძულებითი შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული კოლეჯის მიდგომები, სამუშაო დრო და სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დრო, სამსახურში გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმები, არასამუშაო საათებში პერსონალის კოლეჯის ტერიტორიაზე ყოფნის პირობები, შვებულება და უქმე დღეები, მივლინებები, პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური მექანიზმების გამოყენების წესები, შრომის უსაფრთხოების, საქმიანობის შეფასებისა და სხვა საკითხები. კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული მექანიზმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

პერსონალის მართვის პოლიტიკისა და შინაგანაწესის დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის დაწყების, შეწყვეტის, შვებულების, პერსონალის საქმიანობის შეფასების, კმაყოფილების კვლევისა და პერსონალის განვითარების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

კოლეჯის შინაგანაწესი არის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და პერსონალი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ იცნობს კოლეჯის შინაგანაწესს, თუმცა შრომის კოდექსით განსაზღვრული არსებითი პირობები არასრულადაა გაწერილი შრომით ხელშეკრულებებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების წესი განსაზღვრულია შინაგანაწესით, რომლის მიხედვით, კოლეჯში ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა, ცალსახად არ ჩანს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობა. ამასთან, შრომით ხელშეკრულებაში მუხლი 4. შრომის ანაზღაურების წესი და პირობები პუნქტი 4.3 მითითებულია ჩანაწერი ,,დამსაქმებელი ვალდებულია ყოველთვიური უწყისით გამოუწეროს დასაქმებულს გამომუშავებული ხელფასი და გასცეს იგი დაწესებულებაში სახელფასო ფონდისათვის საკმარისი თანხის დაგროვებისთანავე“ ასევე 4.6 პუნქტი შესაძლებლობას იძლევა რომ მოხდეს ანაზღაურების პირობების გაუარესება ცალმხრივად, 5 დღით ადრე გაფრთხილების საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება შრომის კანონმდებლობას, ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს მხარეებს შორის შეთანხმება. აღნიშნული ჩანაწერები ბუნდოვანს ხდის ყოველთვიურად დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის შრომის ანაზღაურების ჩარიცხვის ვალდებულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეზონილია შრომითი ხელშეკრულების ჩანაწერები უფრო მკაფიო გახდეს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს ანაზღაურების ყოველთვიურად ჩარიცხვის ფაქტი, თუმცა აღნიშნულის გადამოწმება დოკუმენტურად და ფინანსურ მენეჯერთან/ბუღალტერთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, მიზეზად კოლეჯის მიერ დასახელდა ობიექტური გარემოება.

კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვა არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს მათი დატვირთვის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემა, სადაც განსაზღვრული იქნება მოდულში მითითებული საკონტაქტო საათების გარდა, დამატებითი სამუშაოს დატვირთვის ოდენობა. ვრცლად იხილეთ მე-2 სტანდარტის აღწერა. ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ განსაზღვროს ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ოდენობა იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს ადმინისტრაციული ფუნქციების სრულფასოვან შესრულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

აღსანიშნავია რომ, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, კოლეჯში დასაქმების მსურველი პირის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციის ნუსხაში კოლეჯს არ აქვს მოთხოვნა ცნობის - „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ სავალდებულოდ წარმოდგენის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალის პირადი საქმეების შემოწმებისას, ასეთი ცნობები გათავსებული არ იყო, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის ნაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები, თუმცა პერსონალის მეორე ნაწილის შემთხვევაში ასეთი დოკუმენტები არ წარმოდგენილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 ფასდება მეტწილად შესაბამისი, დაწესეულებაში პერსონალის მართვის პროცესები ნაწილობრივ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის მიხედვით, შესაბამისად პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ არის სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან, არასრულადაა წარმოდგენილი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“, თუმცა დაწესებულებამ 2023 წლის 24 ივლისის №073 წერილით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვით, დაწესებულებას ხავეზის გამოსწორებისთვის იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისი აქტივობები, ხოლო მათი შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული პერიოდი, სხვა აქტივობების შესრულების პარალელურად, საკმარისია პროცესის სწორი ანალიზისა და თანმივდევრული განხორციელების შემთხვევაში, გაუმჯობესებულ იქნეს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

ასევე ***რეკომენდებულია 1. დაზუსტდეს პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების პირობები; 2. რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემა, სადაც განსაზღვრული იქნება მოდულში***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

მითითებული საკონტაქტო საათების გარდა, დამატებითი სამუშაოს დატვირთვის ოდენობა; 3. რეკომენდებულია დაწესებულებამ განსაზღვროს ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ოდენობა იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს ადმინისტრაციული ფუნქციების სრულფასოვან შესრულებას.

2. დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები რეგულირდება კოლეჯის 2020 წლის 27 მარტის №1-13 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკისა და კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №1-04 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის შესაბამისად. რის მიხედვითაც კოლეჯში თანამდებობების დაკავება შესაძლებელია როგორც კონკურსის, ისე მის გარეშე. კონკურსის შედეგად ან პირდაპირი დანიშვნის გზით შერჩეულ პერსონლთან კოლეჯის დირექტორი აფორმებს შრომით ხელშეკრულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა კოლეჯის ადმინისტრაციული, დამხმარე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები.

პერსონალის პირადი საქმეებით არასრულად დასტურდება პერსონალის კვალიფიციურობა, მაგალითად - საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში იმ პროგრამის შინაარსთან, რასაც ხელმძღვანელობს, ვრცლად იხილეთ მე-2 სტანდარტის აღწერა. კანცელარიის თანამშრომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ვრცლად იხილეთ4.1.2.2 ინგიკატორის აღწერა.

კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს კოლეჯში ახალი პერსონალის ადაპტაციის მექანიზმებს, რის მიხედვითაც კოლეჯში ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მენეჯერი/ ან მისი არყოფნისას (გარკვეულ გარემოებათა გამო) ხარისხის მართვის მენეჯერი; უშუალო უფროსი და კოლეგები, რომლებიც პირს სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ადგილზე ხვდებიან. არსებული პერსონალი, აგრეთვე, უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ახალი თანამშრომლისთვის კომფორტული გარემოს შექმნას, მისი ახალ გარემოში ადაპტაციის უზრუნველსაყოფად. ახალი კადრის ადაპტაციისა და პროფესიული მოვალეობების ზედმიწევნით შესრულებისთვის სასწავლო პროცესის მენეჯერი და კადრის უშუალო ხელმძღვანელი უზრუნველყოფენ: სათანადო ინფორმირებას - თითოეული თანამშრომელი ნათლად უნდა აღიქვამდეს საკუთარი ვალდებულების სწორი შესრულების მნიშვნელობას კოლეჯის საერთო მიზნების მიღწევაში; თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ სურვილი და შესწევდეთ ძალა, რომ იყვნენ აქტიურად ჩართულნი კოლეჯის მუშაობის გაუმჯობესებაში, ზრუნავდნენ საერთო მიზნის მიღწევაზე და გრძნობდნენ თავს ერთი გუნდის წევრებად. აღიშნული მექანიზმების ეფექტიანობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულია ბოლო პერიოდში მიღებულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რომელთაც დადასტურეს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერისა და ხარისხის მართვის მენეჯერის მხარდაჭერა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 ფასდება მეტწილად შესაბამისი, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები არასრულად უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას, ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, დაწესებულებამ გადახედოს პერსონალის შერჩევის პოლიტიკასა და პროცედურებს და პერსონალის შერჩევისას სხვა მოთხოვნებთან ერთად, გაითვალისწინოს კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან, თუმცა დაწესებულებამ 2023 წლის 24 ივლისის №073 წერილით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვით, დაწესებულებას ხავეზის გამოსწორებისთვის იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისი აქტივობები, ხოლო მათი შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული პერიოდი, სხვა აქტივობების შესრულების პარალელურად, საკმარისია პროცესის სწორი ანალიზისა და თანმივდევრული განხორციელების შემთხვევაში, გაუმჯობესებულ იქნეს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

3. კოლეჯის წესდების მიხედვით განსაზღვრულია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად გადამოწმდა კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელთა პირადი საქმეები. პერსონალის პირადი საქმეებით არასრულად დასტურდება პერსონალის კვალიფიციურობა, მაგალითად - საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში იმ პროგრამის შინაარსთან, რასაც ხელმძღვანელობს, ვრცლად იხილეთ მე-2 სტანდარტის აღწერა. კანცელარიის თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებულია პროფესიული განათლება, თუმცა პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, ვიზიტის დღეს წარმოდგენილ იქნა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. კანცელარიის თანამშრომელს გააჩნია შესაბამისი არაფორმალური განათლება და გამოცდილება, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია დაკორექტირდეს კანცელარიის თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 ფასდება მეტწილად შესაბამისი, პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, გადახედვას საჭიროებს საექთნო საქმის პროფესიული განათლების პროგრამის ხელმძღვანელისა და დაწესებულების კანცელარიის თანამშრომლის კვალიფიკაციის შესაბამისობა კანონმდებლობითა და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან, თუმცა დაწესებულებამ 2023 წლის 24 ივლისის №073 წერილით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვით, დაწესებულებას ხავეზის გამოსწორებისთვის იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისი აქტივობები, ხოლო მათი შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული პერიოდი, სხვა აქტივობების შესრულების პარალელურად, საკმარისია პროცესის სწორი ანალიზისა და თანმივდევრული განხორციელების შემთხვევაში, გაუმჯობესებულ იქნეს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

4. კოლეჯში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაზეც მოწმობს შემდეგი გარემობები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

- კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები;
- კოლეჯის მრჩეველთა საბჭოს მუშაობა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრმების დამატების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი;
- სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისათვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესს ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მარტის №1-13 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №1-04 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
3. დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა;
4. დაწესებულების წესდება;
5. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 09 თებერვლის №1-06 ბრძანებით დამტკიცებული 2023 წლის სამოქმედო გეგმა;
6. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები;
7. დაწესებულების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
8. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

9. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურეის შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მარტის №1-13 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს მართვა/მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის საკითხებს. სამუშაოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

შესრულების მონიტორინგი გულისხმობს კოლეჯის პერსონალის/პროფესიული მასწავლებლების მუშაობის ეფექტიანობის შეფასებას. გამოსაცდელი ვადით მიღებული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება ხორციელდება გამოსაცდელი ვადის ამოწურვამდე. სასწავლო პროცესის მენეჯერი დროებით მიღებული პირის დაკვირვების შედეგებს ინიშნავს შესაბამის ფორმაში, ასევე ავსებინებს შესაბამის შეაფასების ფურცელს პირის უშუალო ხელმძღვანელს ან მასთან სამსახურებრივად უშუალო კავშირშირში მყოფ პირებს, ასევე თვითშეფასების კითხვარს ავსებინებს უშუალოდ დაკვირვების ქვეშ მყოფ პირს და მიღებულ შედეგებს გადასცემს დირექტორს, ასევე შედეგები გადაეცემა კონკრეტულ თანამშრომელს გასაცნობად. მიღებული შედეგები ინახება პირის პირად საქმეში.

კოლეჯში საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პოზიციებზე დასაქმებული პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასება ხორციელდება მათი სამუშაოს აღწერილობების შესაბამისად, აღნიშნული შეფასება წარმოებს ყოველი პირობითი სასწავლო მონაკვეთის დასრულებისთვის, საშუალოდ 1 კვირის ვადაში, თითოეული თანამშრომელი სწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოების შესახებ. რის შესახებაც სასწავლო პროცესის მენეჯერი აკეთებს ზოგად დასკვნებს წერილობითი სახით და წარუდგენს კოლეჯის ხარისხის მენეჯერს დასაგეგმი ღონისძიებების შესახებ.

ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზანია: ა) პერსონალის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარების საჭიროებებისა და სხვა, პერსონალის მართვის პოლიტიკითა თუ შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული, შედეგების წარმოშობის წინაპირობების დადგენა, ისევე როგორც, დაწესებულების ორგანიზაციული განვითარება; ბ) პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების, პროფესიული შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენა. გ) ადმინსიტრაციული პერსონალი ფასდება ყველა იმ დაკავშირებული მხარის მიერ, ვისთანაც აქვს შეხება სამუშაო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დაწესებულებაში წარმოებს პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევა, კოლეჯის პერსონალს აფასებენ პროფესიული სტუდენტები.

პერსონალის შეფასების შედეგები ანალიზდება და ერთიანი ანგარიშის სახით წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

2. თანამშრომელთა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით ამზადებს სატრენინგო საკითხებს და თემას, ასევე არჩევს სამიზნე ჯგუფს, რაც გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით უფრო აქტუალურია მიმდინარე პერიოდისთვის.

პერსონალის განვითარების გეგმა წარმოადგენს სამუშაოს შესრულების მართვის განუყოფელ ნაწილს, სადაც აისახება პერსონალის განსავითარებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები. თითოეული ტრენინგის ჩატარება მტკიცდება დირექტორის ბრძანებით და აისახება თანამშრომლისთვის ჩატარებულ ტრენინგზე დასწრების ფურცლით/კოლეჯის დირექტორის მიერ გაცემული ცნობით.

კოლეჯის პერსონალის განვითარების მიზნით, დაწესებულებაში პერიოდულად ხორციელდება სამუშაო შეხვედრები ურთიერთგამოცდილების გაზიარების თაობაზე. ზემოაღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია სამუშაო შეხვედრების ოქმები, პერსონალის პირად საქმეებში განთავსებულია სერტიფიკატები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პერსონალის განვითარების ღონისძიებებში ჩართულობის შესაძლებლობა ასევე დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფთან კოლეჯის პერსონალის ინტერვიურებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის განვითარება ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

3. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდში ეფუძნება მათი საჭიროების კვლევიდან მიღებულ ინფორმაციას, ამ მიმართულებით კოლეჯის მიერ განხორციელებული ღონისძიებების საფუძველია:
- ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება;
- კოლეჯის მიერ განხორციელებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგები და სხვა.

ზემოაღნიშნული საჭიროებიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში კოლეჯის მიერ განხორციელებული ღონისძიებებია სამუშაო შეხვედრები, ურთიერთგამოცდილების გაზიარება, მივლინებები პარტნიორ დაწესებულებებში, ტრენინგები და სხვ.

პროფესიული მასწავლებელის განვითარების მიზნით ტრენინგები ასევე დაგეგმილია დაწესებულების სამოქმედო გეგმის მიხედვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მარტის №1-13 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს კოლეჯში ახალი პერსონალის ადაპტაციის მექანიზმებს, რის მიხედვითაც კოლეჯში ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მენეჯერი/ან მისი არყოფნისას (გარკვეულ გარემოებათა გამო) ხარისხის მართვის მენეჯერი, უშუალო უფროსი და კოლეგები, რომლებიც პირს სამუშაო ადგილზე ხვდებიან. არსებული პერსონალი, აგრეთვე, უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ახალი თანამშრომლისთვის კომფორტული გარემოს შექმნას, მისი ახალ გარემოში ადაპტაციის უზრუნველსაყოფად. ახალი კადრის ადაპტაციისა და პროფესიული მოვალეობების ზედმიწევნით შესრულებისთვის სასწავლო პროცესის მენეჯერი და კადრის უშუალო ხელმძღვანელი უზრუნველყოფენ: სათანადო ინფორმირებას - თითოეული თანამშრომელი ნათლად უნდა აღიქვამდეს საკუთარი ვალდებულების სწორი შესრულების მნიშვნელობას კოლეჯის საერთო მიზნების მიღწევაში; ჩართულობას - თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ სურვილი და შესწევდეთ ძალა, რომ იყვნენ აქტიურად ჩართულნი კოლეჯის მუშაობის გაუმჯობესებაში, ზრუნავდნენ საერთო მიზნის მიღწევაზე და გრძნობდნენ თავს ერთი გუნდის წევრებად. აღიშნული მექანიზმების ეფექტიანობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულია ბოლო პერიოდში მიღებულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რომელთაც დაადასტურეს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერისა და ხარისხის მართვის მენეჯერის მხარდაჭერა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5. კოლეჯში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები ფორმალიზებული არ არის, თუმცა დაწესებულება ზრუნავს ყველა დასაქმებულის საჭიროებისა და ინიციატივის დაკმაყოფილებაზე. მაგალითად დასახელებულ იქნა კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის რესერტიფიცირება, რაც კოლეჯმა დააფინანსა, პერსონალის სხვადასხვა ტრენინგები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამუშაო შეხვედრები პროფესიული მიმართულებით და სხვ. აღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ფინანსური ტრანზაქციების დოკუმენტები, ხოლო ფაქტები დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფთან პერსონალის ინტერვიურებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მარტის №1-13 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №1-04 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
3. დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა;
4. დაწესებულების წესდება;
5. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 09 თებერვლის №1-06 ბრძანებით დამტკიცებული 2023 წლის სამოქმედო გეგმა;
6. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები;
7. კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
8. კოლეჯის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი ქ. რუსთავში, აფხაზეთის ქ. №12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში საკუთრების უფლებით ფლობს 471,60 m^2 ფართს.

კოლეჯში კეთილმოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები:

- თეორიული სწავლების აუდიტორია/ები - 3 აუდიტორია, თითო აუდიტორიაში 22 ადგილი;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია/ები - 2 აუდიტორია, 26 ადგილი;
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/ლაბორატორია/ები - 2 ერთეული;
- ადმინისტრაციული სივრცე - 4 ერთეული;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის - 1 ერთეული;
- სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის - 1 ერთეული;
- დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის/სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული ან შემოქმედებითი საქმიანობისათვის– 1 ერთეული;
- სანიტარიული კვანძი/ები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის - 2 ერთეული;
- ბიბლიოთეკა/სამკითხველო დარბაზი - 1 ერთეული;
- სივრცე არქივისთვის - 1 ერთეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კოლეჯის სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვის აქტები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებს“ VIII. თავი არეგულირებს სასწავლო დანიშნულების მატერიალურ რესურსთან წვდომის წესს კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის, რის მიხედვითაც დოკუმენტში გაწერილია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებელთა მიერ ამ რესურსით სარგებლობის უფლებები. კოლეჯი არ ზღუდავს პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალს ისარგებლონ კოლეჯის მატერიალური რესურსით, თუ ის დაკავშირებულია საგანმანათლებლო/შემეცნებით საქმიანობასთან.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. ზემოაღნიშნულ წესში არსებული ჩანაწერების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, სტუდენტი ვალდებულია, გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა დაწესებულების ინვენტარიზაციის მასალები, თუმცა ასეთი დოკუმენტები არ წარმოდგენილა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია ინვენტარიზაციის პროცესის დაგეგმვისა და ადმინისტრირების თაობაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და მარაგების ინვენტარიზაციის წესი და ჩაატაროს ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.***

3. კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების სწორად და სრულყოფილად შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია დამლაგებელი. კოლეჯში რეგულარულად (ყოველდღიურ რეჟიმში) ხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება. მყარი ნარჩენების გატანა და მოთავსება ხდება ნაგავშემკრებ კონტეინერებში, რომლებიც მოთავსებულია შესაბამის დისტანციაზე. ნარჩენების გატანის სიხშირე - ხორციელდება კონტეინერის გავსებისთნავე, ყოველდღიურად. კოლეჯში განთავსებულია ნარჩენებისთვის განკუთვნილი უკონტაქტო, დახურული კონტეინერები, რომელშიც ჩაფენილია ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების გატანას ახორციელებს დასუფთავსების თანამშრომელი.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ზემოაღნიშნული სამუშაოების განმახორციელებელ პირს, რომელმაც აღწერა საკუთარი სამუშაო განრიგი, სამუშაო პირობები და ფუნქცია-მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კოლეჯში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართი შენობა აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირებითა და კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არ იყო ცენტრალური გათბობის სისტემა, თუმცა აღჭურვილი იყო გამათბობლებით.

კოლეჯში გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირება აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი), რომლის გამოყენების თაობაზე კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალისათვის ტარდება ინსტრუქტაჟი, რაც დასტურდება სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კოლეჯის წესდებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები: კოლეჯში შრომითი უსაფრთხოების ყველა წესის დაცვა, შრომითი პირობების და ფაქტორების რისკების შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დასახვა, შრომითი დაცვის ყველა კომპონენტისთვის ინსტრუქციების შემუშავება და მონიტორინგი, მონიტორინგის ჟურანალების წარმოება, შრომითი დაცვის სწავლებისა და ტრენინგების ორგანიზება ორგანიზაციაში დასაქმებული და მესამე პირებისთვის, თანამშრომლებისა და მენეჯმენტის კოორდინაციის ორგანიზება ურთიერთმხარდაჭერის საფუძველზე, აღჭურვილობების და ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება, უსაფრთხო შრომითი გარემოს უზრუნველყოფა, დაცვის სამსახურის თანამშრომლის ზედამხედველობა უსაფრთხო გარემოს მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, მთავრობის დადგენილებით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისთვის განსაზღვრული მოვალეობების სათანადო შესრულება.

კოლეჯში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოვალეობებს ასრულებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა და წარმოდგენილია შესაბამისი ვადიანი სერტიფიკატები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების მტკიცებულებები, შევსებული ჟურნალები, რაც ასევე დასტურდება პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგად.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება დასტურდება შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგებითაც. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს რისკების შეფასებას, თუმცა არ ხდება მისი დოკუმენტირება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ***თუმცა რეკომენდებულია შრომის უსაფრთხოებაზე***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პასუხისმგებელმა პირმა განახორციელოს რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების მართვის დოკუმენტირება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“ ადგენს პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფისა და მათ შენახვა-გამოყენების წესებს. კოლეჯში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შესყიდვაზე პასუხისმგებელი პირია კურატორი სამეურნეო დარგში, რომელიც დირექტორთან შეთანხმებით და ფინანსურ მენეჯერთან/ბუღალტერთან კოორდინაციით უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურის განხორციელებას.

მოდულის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის გადაცემული მასალა-ნედლეული აღირიცხება სპეციალურ ფორმაში. პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი კომპონენტის დასრულების შემდეგ ხდება გახარჯული მასალის ანგარიშგება, რასაც ადასტურებს კოლეჯის მიერ ექსპერტებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტები, კერძოდ, მასალა-ნედლეულის შესყიდვის ზედნადებები და გახარჯული მასალის აღრიცხვის ფორმა.

კოლეჯის მიერ დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების/პროდუქტების შენახვისა და განკარგვის წესები. კოლეჯის მიერ დადგენილია სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების, მათ შორის ტექნოლოგიური ნარჩენების, მალფუჭებადი პროდუქტის განკარგვისა და უტილიზაციის წესები. სასწავლო პროცესის მსვლელობისას ნარჩენების შეგროვებასა და უტილიზაციაზე პასუხისმგებელი პირი არის მოდულის განმახორციელებელი პირი.

ასევე, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შემსრულებელი კომპანია - შპს ეკომედი ვალდებულია მოახდინოს კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული სახიფათო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კოლეჯში სასწავლო პროცესი საჭირო მასალებითა და ნედლულით შეუფერხებლად არის უზრუნველყოფილი და დანერგილი სისტემა ეფექტურად მოქმედებს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები მოიცავს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებას. შეფასების მექნიზმებია: საჭირო რესურსის საკმარისობა და რელევანტურობა, რაც ხორციელდება წელიწადში არანაკლებ ერთხელ. შესწავლის შედეგების საფუძველზე, რესურსების განახლებას უზრუნველყოფს კოლეჯის კურატორი სამეურნეო დარგში. კოლეჯის რესურსებით პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

8. დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. დაწესებულებაში მოწყობილია პანდუსები.

თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცესა და ბიბლიოთეკას აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

10. კოლეჯის შენობაში არის ფოიე, სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და დასასვენებელი სივრცეები, რომლებიც დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია სათავსოებით, ხოლო პროფესიული მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სათავსოები განლაგებულია მასწავლებელთა სამუშაო სივრცეში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. კოლეჯში დარეგულირებულია საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და საბიბლიოთეკო რესურსებით პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები. კოლეჯში საბიბლიოთეკო მომსახურებას ახორციელებს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი.

დაწესებულებაში განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, რეგისტრაციის წესები, მკითხველის ვალდებულებები საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისი ასევე მოიცავს ასლის გადაღებას და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობას. საგანმანათლებლო რესურსები არსებობს მატერიალური და ელექტრონული სახით. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ წვდომა კოლეჯის ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზებულია, საჭირო რესურსის მოძიება შესაძლებელია ეფექტურად და ამ რესურსებზე წვდომა შეუზღუდავადაა შესაძლებელი დადგენილი წესით.

დაწესებულების ბიბლიოთეკარი თავად ახორციელებს საბიბლიოთეკო სერვისებით მოსარგებლეთა კმაყოფილების კვლევას, ახორციელებს შედეგების ანალიზს და ზრუნავს სერვისების გაუმჯობესებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვის აქტები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები;
3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;
4. ცენტრალური გათბობის სისტემის ფლობის დოკუმენტები;
5. კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები;
6. უფლებამოსილორგანოსთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმა;
7. სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალები;
8. კოლეჯის წესდება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

9. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე;
10. პროფესიული მასწავლებლისათვის გადაცემული მასალა-ნედლეული აღრიცხვის სპეციალური ფორმა;
11. შპს ეკომედთან გაფორმებული ხელშეკრულება სახიფათო ნარჩენების გატანა და უტილიზაციის შესახებ;
12. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები;
13. საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და საბიბლიოთეკო რესურსებით პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფის მექანიზმები;
14. დაწესებულების ბიბლიოთეკარის პირადი საქმე;
15. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა (MIA 2 21 01067505; 28/04/2021), სადაც მოცემულია შემდეგი შინაარსის დასკვნა - შემოწმების (გამოცდის) შედეგად დადგინდა, რომ შპს კოლეჯი ,,არსი''-ს შენობის სახანძრო სიგნალიზაციის და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის სისტემების, მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. კოლეჯმა წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

2. კოლეჯში მოქმედებს სამედიცინო კუთხე, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო საშუალებებით. უბედური შემთხვევის დროს აუცილებელია ნებისმიერმა პირმა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

- დროულად მოუხმოს ექთანს;
- შეატყობინოს დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელს;
- არ გადაადგილოს დაზარალებული ექთნის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იქ დარჩენა სახიფათოა;
- აუცილებლობის შემთხვევაში აღმოუჩინოს დახმარება;
- აუცილებელობის შემთხვევაში გამოიძახოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კოლეჯის მთელს ტერიტორიაზე თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები. კოლეჯის პერსონალი გადამზადებულია პირველად სამედიცინო დახმარებაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

3. კოლეჯმა წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 23 იანვრის №1-03 ბრძანებით. შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და განაწილებულია ფუნქციები წევრებს შორის. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რასაც ადასტურებს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი.

კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების გზით დგინდება, რომ კოლეჯში პერიოდულად ხორციელდება სწავლება/ინსტრუქტაჟი (სიმულაციური ევაკუაცია) საგანგებო სიტუაციების ეფექტური მართვისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3. დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. კოლეჯის დაცვის თანამშორმელი უზრუნველყოფს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა და სტუმრების უსაფრთხოებას. კოლეჯის ქონების დაცვას, სახანძრო უსაფრთხოებას. პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის ტერიტორიაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დაცვის თანამშრომელი ვალდებულია დღის განმავლობაში აკონტროლოს კოლეჯში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი. საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია დაათვალიეროს სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები. დაცვის თანამშრომელი ვალდებულია გააკონტროლოს კოლეჯის შენობაში შემომსვლელი უცხო პირები. დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული დაცვის კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს შენობის დაცვას ღამის საათებში.

დაწესებულებაში არსებობდა მანიშნებლები, რომელის მიუთითებდა სამეთვალყურეო კამერების არსებობაზე.

დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, ამ მიზნით დამტკიცებულია კოლეჯის შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს წესრიგის დაცვის მექანიზმებს, შრომის დაცვაში იგულისხმება ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და სამართლებრივი ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა (MIA 2 21 01067505; 28/04/2021);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. სამკურნალო საშუალებებითა და ინვენტარით ღჭურვილი სამედიცინო კუთხე;
3. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 23 იანვრის №1-03 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
4. დაწესებულების უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
5. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვის აქტები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები;
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;
7. უფლებამოსილორგანოსთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმა;
8. სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალები;
9. დაცვის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
10. კოლეჯის წესდება;
11. დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის პირადი საქმე;
12. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები;
13. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში ყველა სასწავლო აუდიტორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსის მიწოდებას სასწავლო პროცესის ფარგლებში, პროგრამების გამოყენებას და უსადენო წვდომას, როგორც ბიბლიოთეკასა და სასწავლო კომპიუტერულ აუდიტორიებში, ისე ადმინისტრაციის ოთახებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დაწესებულების წესდების მიხედვით კოლეჯში ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურებას ახორციელებს კომპიუტერული ცენტრის კურატორი, რომელიც პასუხისმგებელია კოლეჯში კომპიუტერული ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულების“ მესამე დანართის სახით წარმოდგენილია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“, რის მიხედვითაც დარეგულირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მიმართულია კოლეჯის მმართველობითი და საგანმანათლებლო პროცესებში კომპიუტერული და საინფორმაციო რესურსების ეფექტიან და უსაფრთხო გამოყენებაზე, კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის უფლება-მოვალეობების განსაზღვრასა და ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე.

კოლეჯში დასაქმებული პერსონალის და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული მუშაობის შეუფერხებლად წარმართვას. კოლეჯი უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ მომსახურებით, რასაც ადასტურებს ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება და ადგილზე ინტერნტ მომსახურებით ფაქტობრივად სარგებლობის შედეგები.

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი რესურსებით და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას.

კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების გზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. კოლეჯში განსაზღვრული საინფორმაციო ტექნოლოგიების შეფასების და IT რისკების მართვის პროცედურა გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებას, მოსალოდნელ შედეგებს და პრევენციის გზებს. კოლეჯში IT რისკების მართვის პროცედურას ახორციელებს კომპიუტერული ცენტრის კურატორი, რომელიც ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მდგომარეობის შეფასებას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს. ხოლო სხვა შემთხვევაში, საჭიროების დადგომისთანავე მყისიერად ხდება გამოვლენილ ხარვეზზე რეაგირება. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილია ინფორმაციული ტექნოლოგიების გაუმჯობესების მტკიცებულებები/ცალკეული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის №1-19 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის და პროფესიულ სტუდენტთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“. პერსონალური მონაცემები კოლეჯის მიერ მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილ შემთხვევებში. კოლეჯი ამუშავებს ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების პერსონალურ მონაცემებს. პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს საკუთარი საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებში. პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე კოლეჯი ვალდებულია მოიპოვოს სუბიექტის თანხმობა, თანხმობის ფაქტი დასტურდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერით და წერილობითი ფორმით.

ექპერტთა მიერ პერსონალის პირადი საქმის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების პირად საქმეებში განთავსებულია წერილობითი თანხმობები. აღნიშნულს ასევე ადასტურებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები. შესაბამისად, კოლეჯის საქმიანობაში დაცულია პერსონალური მონაცემები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას, მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ შესაბამისი კვლევების ჩატარებას, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის მდგომარეობის შესაფასებელ კვლევას.

კოლეჯში ვიზიტის დროს ექსპერტებთან ინტერვიურების პროცესში პროფესიულმა სტუდენტებმა და პერსონალმა კმაყოფილება გამოხატეს კოლეჯის IT რესურსების მიმართ. შესაბამისად, კოლეჯში ხორციელდება IT სისტემის რეგულარული შეფასება და შეფასების შედეგების პარალელურად ხდება ადეკვატური რეაგირება კოლეჯის ხელმძღვანელობის მხრიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დამაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5. კოლეჯში კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის შეუზღუდავად. კოლეჯში ინფორმაციის ტექნოლოგიების გამართულობასა და ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელია კომპიუტერული ცენტრის კურატორი. კოლეჯში უზრუნველყოფილია ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა, უკაბელო ინტერნეტით (Wi-Fi). კოლეჯის პერსონალის და პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგადაც. შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის სასწავლო და სამუშაო პროცესის მიზნებისათვის, მუდმივად (დადგენილი წესით) ხელმისაწვდომია კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. ასევე, კოლეჯის რეგულაციით განსაზღვრულია ინფორმაციის ტექნოლოგიების გამართულობასა და მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი.

პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. კომუნიკაციის მიზნით, კოლეჯი იყენებს ელექტრონულ ფოსტას, ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები კოლეჯის პერსონალთან კომუნიკაციის მიზნით, იყენებს Google-ს პლატფორმას, სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფებს. ასევე, კოლეჯში ფუნქციონირებს ისეთი ელექტრონული სერვისები როგორიცაა: დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა (,,eflow"/საჭიროებს სრულად ამოქმედებას), სოციალური გვერდი და კოლეჯის ვებგვერდი. შესაბამისად, კოლეჯს გააჩნია და იყენებს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირების ერთიან ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმს/სისტემას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულების“ მესამე დანართის სახით წარმოდგენილია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“;
2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის №1-19 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის და პროფესიულ სტუდენტთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“;
3. კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები;
5. კოლეჯში გამოყენებული საკომუნიკაციო სისტემები - ელექტრონულ ფოსტა, Google-ს პლატფორმას, სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფები, დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა (,,eflow“);
6. კოლეჯში ინტერნეტით სარგებლობის დამადასტურებელი ხელშეკრულებები, საფასურის გადახდის ქვითრები;
7. კოლეჯის IT ინფრასრუქტურის დათვალიერების შედეგები;
8. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.
9. კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებგვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის წესდების დანართს წარმოადგენს „საქმისწარმოების წესი“. კოლეჯში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია კანცელარიის მდივანი. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია ადგენს კოლეჯში დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობებს, დოკუმენტებზე მუშაობის წესს, ბრძანებების, ხელშეკრულებების, მემორანდუმების, ოქმების, აქტების, განცხადებების, წერილების, შემოსული და გასული კორესპონდენციის მომზადების წესებს. საქმისწარმოების ინსტრუქციით განსაზღვრული მუშაობის წესის დაცვა სავალდებულოა კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის/პირისთვის. კოლეჯს საქმისწარმოების წესით ასევე განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

აქვს პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისების აღრიცხვის, კოლეჯის დოკუმენტების დაარქივების და განადგურების წესები. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც არის დანომრილი, ზონარგაყრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 08 ივლისის №1023 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესი“, რომელიც ადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის წესებს. კოლეჯის თანამშრომლები ვალდებული არიან, საჯარო განცხადებები და ინფორმაცია შეათანხმონ შესაბამის სამსახურთან, ვის კომპეტენციასაც განეკუთვნება კონკრეტული საკითხი.

კოლეჯში მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი წესი არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან. თუმცა კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული პროცედურა ძირითადად ორინეტირებულია მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზებაზე. წესში მხოლოდ ერთი ჩანაწერი არსებობს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის არსებობის შესახებ, შესაბამისად რეკომენდებულია ზემოაღნიშნული საქმისწარმოების წესით განისაზღვროს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკა და დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხები მოვიდეს შესაბამისობაში კოლეჯში დანერგილ სისტემასთან (“eflow”).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, ***თუმცა რეკომენდებულია საქმისწარმოების წესით განისაზღვროს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკა და დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხები მოვიდეს შესაბამისობაში კოლეჯში დანერგილ სისტემასთან (“eflow”).***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. კოლეჯი მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს როგორიც არის: ვებგვერდი, სოციალური გვერდი, სატელეფონო კავშირი. კოლეჯში საქმისწარმოების მიზნით არსებობს ელექტრონული სისტემა “eflow”- 3 მომხმარებელზე, თუმცა აღნიშნული პლატფორმა სრულად და ეფექტურად არ გამოიყენება. სისტემაში იძებნება მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის შემადგენლობაში შემავალი იურიდიული პირებისაგან შემოსული კორესპოდენცია, არ არის რეგისტრირებული პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის მიზნით მიღებული განცხადებები. რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულად გამოიყენოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა “eflow” და უზრუნველყოს ყველა კატეგორიის დოკუმენტების სანდოობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2 ფასდება მეტწილად შესაბამისი, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, თუმცა არ ფუნქციონირებს სრულფასოვნად, თუმცა დაწესებულებამ 2023 წლის 24 ივლისის №073 წერილით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვით, დაწესებულებას ხავეზის გამოსწორებისთვის იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისი აქტივობები, ხოლო მათი შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული პერიოდი, სხვა აქტივობების შესრულების პარალელურად, საკმარისია პროცესის სწორი ანალიზისა და თანმივდევრული განხორციელების შემთხვევაში, გაუმჯობესებულ იქნეს ელექტრონული საქმისწარმოების სრულ იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები.

3. კოლეჯის წესდებით დამტკიცებული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი პირი არის კანცელარიის მდივანი. ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა ექსპერტებისთვის ბაზაში შეტანილი ინფორმაციის ჩვენება, გადამოწმდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხები კანონმდებლობით დადგენილი წესსა და ვადებთან მიმართებით, რისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

გადამოწმების შედეგებიც დამაკმაყოფილებელია. შესაბამისად, ექსპერტების მიერ დადასტურებულია, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. კოლეჯში არსებობს პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვაზე და პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. კოლეჯის წესდების მიხედვით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით“ არ არის განსაზღვრული ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. კოლეჯის წესდების მიხედვით, კოლეჯში დოკუმენტების შესრულებასა და დროულ რეაგირებაზე პასუხისმგებელია კანცელარიის მდივანი. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ინფორმაციის დროულ მიწოდებას და გავრცელებას საკუთარი საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებში.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მიღებული/გაგზავნილი ბოლო კორესპონდენცია, რომლის შედეგებიც სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს სხვადასხვა უწყებებთან სწორი და დროული კომუნიკაციის განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ საქმისწარმოების წესით განსაზღვროს შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების ვადები კანონმდებლობის შესაბამისად.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის წესდებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;
2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 08 ივლისის №1-23 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი“;
3. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა “eflow”;
4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;
5. კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, სარეგისტრაციო ჟურნალები;
6. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.
7. კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებგვერდი;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 08 ივლისის №1-23 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომელიც ადგენს ინფორმაციის გავრცელების პირობებს და მექანიზმებს. კოლეჯს აქვს ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქის სოციალური ქსელის გვერდი. ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია. სოციალური ქსელი იძლევა კოლეჯთან ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებას. სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა სახის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პოსტები, ვიზუალური და ტექსტური კონტენტი, ინფორმაცია მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრუქტურის, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განთავსებულია ახალი ამბები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, დაწესებულების სამოქმედო გეგმა და სხვ.

შესაბამისად, კოლეჯის ვებ და სოციალური ქსელის გვერდები აქტიურად არის გამოყენებული, ვებგვერდზე ნავიგაცია მარტივია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მთავარ გვერდზეა ხელმისაწვდომი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

2. კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. კოლეჯის მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. შესაბამისად, კოლეჯს აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 08 ივლისის №1-23 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმებს, საინფორმაციო საშუალებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. კოლეჯის თანამშრომლები შიდა და გარე კომუნიკაციას ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებში. ხოლო, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის და საჭიროების შემთხვევაში, გადამისამართების პრეროგატივა აქვს კომპიუტერული ცენტის კურატორს, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე. კოლეჯი ვებგვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით, ავრცელებს სანდო და უტყუარ ინფორმაციას. ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობა, ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს მოპოვებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას კოლეჯის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული პროგრამების კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამის მიზნების, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მოცულობისა და ხანგრძლივობის შესახებ. ასევე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს, ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისა და პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

5. კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რასაც ადასტურებს კოლეჯში წლების მიხედვით ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. კოლეჯის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან, ოფიციალური სოციალური ქსელიდან, ელექტრონული ფორმის ტიპის გამოკითხვებიდან, ელექტრონული მეილებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება.

ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის შედეგად მიღებული უკუკავშირი მუშავდება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ, მოვალეობების შესაბამისად და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას და მათ მიერ წარმოდგენილ წლიური საქმიანობის ანგარიშებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 08 ივლისის №1-23 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
3. კოლეჯის პერსონალის საქმიანობის წლიური ანგარიშები;
4. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.
5. კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

1. კოლეჯის შემოსავლების წყაროა პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასურის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ვაუჩერული დაფინანსება. კოლეჯის ფინანსური მენეჯერი/ბუღალტერი კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს დაწესებულების საპროგნოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების ანალიზის დოკუმენტებით და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტებით.

ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაესაუბრა კოლეჯის ფინანსურ მენეჯერს/ბუღალტერს. აღნიშნულის მიზეზად დაწესებულების მიერ დასახელდა თანამშრომლის ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

2. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია 2021-2022 წლებში განხორციელებული საოპერაციო ხარჯების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, ცალკეული სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანსური დოკუმენტები, საგადახდო დავალებები და სხვა, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ კოლეჯი ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

3. კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის განთავსებას, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა შესაბამის პორტალზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

4. კოლეჯი ყოველწლიურად ახორციელებს დაწესებულების ბიუჯეტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშს, რომელსაც იხილავს კოლეჯის დირექტორთან. მოცემული ანალიზის შესაბამისად ახორციელებს მომდევნო წლის ბიუჯეტების შემუშავებას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის დირექტორს, რომელმაც დეტალურად აღწერა დაწესებულებაში საფინანსო პოლიტიკის განხორციელების მიდგომები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის ბიუჯეტი და მისი შესრულების ანალიზის დოკუმენტები;
2. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სამოქმედო გეგმების შესრულების დოკუმენტები;
3. შემოსავლების სამსახურის შესაბამის პორტალზე განთავსებული ფინანსური აღრიცხვის დოკუმენტები;
4. კოლეჯის პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროგრამის განხორციელების ადგილი	რუსთავი, აფხაზეთის ქ. N 12
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	16
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N1-08 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით - „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება დამსაქმებელთა მოთხოვნისა და ბაზრის კვლევის საფუძველზე. ხარისხის მართვის მენეჯერი რეკომენდაციით მიმართავს დაწესებულების დირექტორს მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემუშავებისა და დამატებისა მიზნით და წარუდგენს შრომის ბაზრის კვლევას. აღნიშნულის საფუძველზე დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე. აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია კოლეჯის მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საფინანსო სერვისები** შემუშავების გარემოებებია:

- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება - კოლეჯი არსის პროფილის შემადგენილი ნაწილია, რაც ასახულია კოლეჯის მისიაში და გაზიარებულია კოლეჯის პედაგოგიური პერსონალის მიერ;
- რუსთავის და ზოგადად, ქვემო ქართლის რეგიონის შრომის ბაზრის ხვედრითი წილი საბანკო სექტორის დიდ პროცენტს მოიცავს;
- შრომის ბაზრისგან არის დიდი ინტერესი მათთვის ბანკის/ კომერციული ორგანიზაციის საფინანსო ოპერაციების კადრის მიწოდებისა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

- კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოებული გამოკითხვები შესაბამისი შრომის ბაზარის წარმომადგენლებთან მათთან დასაქმებული კოლეჯის კურსდამთავრებულების პროფესიული ცოდნის და უნარების შეფასების დადებითი გამოხმაურების შესახებ.
- კოლეჯის მიერ მიმდინარე პერიოდში „საფინანსო სერვისების“ კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები;
- კოლეჯის „საფინანო სერვისების“ პროგრამის პარტნიორობის თანამშრომლობა და უკუკავშირი.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საფინანსო სერვისები** განხორციელებისათვის აქვს როგორც მატერიალური, ისე ფინანსური რესურსი, ჰყავს კვალიფიციული პერსონალი და თანამშრომლობს ბაზარზე წამყვან ისეთ კომპანიებთან, როგორიცაა: სს ლიბერთი ბანკი, შპს „მადაგონი 2“.

კოლეჯის მისიაში ასახულია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება და იძლევა შესაძლებლობას დაწესებულებამ განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **საფინანსო სერვისები** დაშვების წინაპირობაა საბაზო განათალება და 17 წლის ასაკის მიღწევა, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით „საფინანსო სერვისები“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის №1-22 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგნამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები (შესაბამისი დოკუმენტები). ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებები მიღების გამოცხადების, კომისიების შექმნის, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის, მეორადი ჩარიცხვის შესახებ. ბრძანებაში განსაზღვრულია: მოტივაციური გასაუბრების კომისიის შემადგენლობა, პროგრამის დასახელება, გასაუბრების თარიღები. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კომისიის მუშაობის ამსახველი დოკუმენტები - გასაუბრების კითხვარები და შეფასებები, ასევე დათვალიერდა პროფესიული განათლების მართვის ელექტრონული სისტემა და კომისიის თითოეული წევრის მიერ შეტანილი შეფასებები/შეჯამებული ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ვინაიდან პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ იყო დიდი, ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა დაწესებულების მიერ შეყვანილი ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთათვის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 მარტს გამოცემულია N1-19.2 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამის - „საფინანსო სერვისების“ მიზნებისათვის კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს A, B, BC სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუანრიანობას, პერსონალის რაოდენობას. დოკუმენტში დასაბუთებულია 16 პროფესიული სტუდენტის სწავლებისათვის კოლეჯის არსებული რესურსის საკმარისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **საფინანსო სერვისები** განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა „საფინანსო სერვისების“ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საფინანსო სერვისები** მოცულობაა 52 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 17, ხოლო 13 პროფესიული მოდულების საერთო მოცულობაა - 35 კრედიტი. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევითი მოდულებს.

6. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N1-08 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით - „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“, რომლის მიხედვით კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 29 მარტის N1-19 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება **„საფინანსო სერვისები“** თანხვედრაშია საფინანსო სერვისების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები, გათვალისწინებულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისათვის. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N1-32 ბრძნებით დამტკიცებულია „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი კოლეჯი არსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის“. ხოლო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N1-30 ბრძანებით დამტკიცებულია „კოლეჯი „არსის“ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები“. სადაც გათვალისწინებულია,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები და გაწერილია შუალედური შეფასების წესი და პროცედურა. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვისა და ადმინისტრირების პროცედურები, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და მუშაობის პრინციპები, საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შუალედური შეფასების დაგეგმვისა და ორგანიზების მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N1-08 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. კოლეჯის პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები: სს ლიბერთი ბანკი, შპს „მადაგონი 2“;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **საფინანსო სერვისები** და მისი დანართები;
4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის №1-22 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიულ საგნამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
5. კოლეჯის დირექტორის ბრძანებები მიღების გამოცხადები, კომისიების შექმნის, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის, მეორადი ჩარიცხვის შესახებ;
6. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
7. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 მარტს გამოცემული N1-19.2 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამის - „საფინანსო სერვისების“ მიზნებისათვის კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების შესახებ“;
8. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 29 მარის N1-19 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** დამტკიცების შესახებ;
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
10. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N1-32 ბრძნებით დამტკიცებული „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი კოლეჯი „არსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის“;
11. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N1-30 ბრძნებით დამტკიცებული „კოლეჯი „არსის“ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები“;
12. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შუალედური შეფასების დაგეგმვისა და ორგანიზების მტკიცებულებები;
13. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
14. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
15. კოლეჯის ვებგვერდი - https://collegearsi.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საფინანსო სერვისები** სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი რესურსით და პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე.

კოლეჯს ქ. რუსთავში, აფხაზეთი ქ. N12 არსებული შენობის მე-2 სართულზე კეთილმოწყობილია A, B, BC სასწავლო გარემოები. ვრცლად იხილეთ 5.1. სტანდარტის აღწერა.

დაწესებულების A ტიპის გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და გათვლილია 16 პროფესიულ სტუდენტზე (დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს კვოტა 16 პროფესიული სტუდენტი). B ტიპის სასწავლო გარემო გათვლილია 16 პროფესიულ სტუდენტზე (16 კომპიუტერით, მონიტორით, პრინტერით). დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან. დათვალიერებით და გასაუბრებით დადასტურდა, რომ მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ და „საწარმოო პრაქტიკის“ სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (16 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით. „საწარმოო პრაქტიკის “ მოდულთან დაკავშირებით გაფორმებულია ხელშეკრულება სს „ლიბერთი ბანკთან“, ხოლო შპს ,,მადაგონ 2“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით დაგეგმილია მოდულის - „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ პრაქტიკული კომპონენტის სწავლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ვიზიტის პერიოდში დათვალიერდა პრაქტიკის ორივე ობიექტი. პრაქტიკის ობიექტზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გასაუბრება შედგა, როგორც კომპანიის თანამშრომლებთან, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი იყვნენ პროფესიული სტუდენტების სწავლების პროცესში, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან. გასაუბრებითა და ორგანიზაციის დათვალიერებით დადასტურდა, რომ პრაქტიკის ობიექტი არის გამტარუნარიანი მიიღოს სტუდენტთა ზღვრული ოდენობა (16 პროფესიული სტუდენტი) და უზრუნველყოფილი იქნას მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. თუმცა, სს „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულების ფარგლებში არ არის მითითებული რა მოდულის განხორციელება ხდება პრაქტიკის ობიექტზე და არ არის დაზუსტებული სტუდენტების ზღვრული ოდენობა. ასევე სს „ლიბერთი ბანკთან“ არსებული ხელშეკრულება გაფორმებულია 2021 წლის 24 დეკემბერს, რომლის მოქმედების ვადა აითვლება 2022 წლის 3 იანვრიდან და მოქმდებს 2 კალენდარული წლის ვადით (სრულდება 2024 წლის 2 იანვარს). ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულება არ მოიაზრებს ვადის ავტომატურად გაგრძელებას, თავისთავად თვალსაჩინოა, რომ საწარმოო პრაქტიკის მოდულის განხორციელების დროს (რომლის წინაპირობაც ყველა მოდულის გავლაა) აღნიშნული ხელშეკრულება არ იქნება ვადიანი. ვიზიტის დროს დაწესებულებამ მიმართა ლიბერთი ბანკს ხელშეკრულების ვადის გაგარძელების თხოვნით. კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ ლიბერთი ბანკი ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს არსებული ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე, ასევე წარმოდგენილია ლიბერთი ბანკთან ოფიციალური მიმოწერა კოლეჯის პროფესიული სტუდენტების დასაქმების მიმართულებით.

რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებს/აღჭურვილობას, რომელიც პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა დანარჩენი მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის გამოიყენება. დაწესებულებაში ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი და ძირითადი მათგანის არსებობა დადასტურდა. მათ შორის იყო: ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი, ფულის სათვლელი მანქანა, საინკასაციო ჩანთის მულაჟი, შტამპები, გამომთველელები, ლუპა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ფულის მულაჟები. დადასტურდა საბანკო სატესტო პროგრამის ფლობა როგორც ალტასთან გაფორმებული მემორანდუმით და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე გადამოწმებით. მატერიალური რესურსის დათვალიერებისას ნამდვილად იყო ჩატვირთული ალტას სატესტო პროგრამა თითოეულ კომპიუტერში, თუმცა ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერდა პროგრამაში შესვლა. აღნიშნული შეფერხების მიზეზი, დაწესებულების განმარტებით, იყო იმ დროისთვის არსებული ქსელის პრობლემა (დაწესებულების მიმდებარედ მიმდინარეობა ქ. რუსთავის მერიის მიერ დაგეგმილი სარემონტო სამუშაოები), რადგან ზოგადად აღნიშნული პროგრამით სწავლებას ახორციელებდნენ, თუმცა პერიოდული შეფერხებებიც დაადასტურეს. წარმოდგენილი იქნა შპს „ალტა სოფთვეართან“ გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი N 061 22022-01, რომელიც 2022 წლის 5 დეკემბერს გაფორმდა და რომლის საგანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლება, პრაქტიკული უნარ- ჩვევების განვითარება.

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს კოლეჯში ალტას სატესტო პროგრამაში მუშაობის ფაქტები, ასევე კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიულ სტუდენტთა პორტპოლიოებში განთავსებული იყო ზემოაღნიშნულ პროგრამაში განხორციელებული საბანკო ოპერაციების მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **საფინანსო სერვისები** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 10 (ათი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 3 (სამი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. 1 პროფესიული განათლების მასწავლებელი ჩართულია როგორც ზოგადი მოდულების, ისე პროფესიული მოდულის სწავლებაში. ჯამში საფინანსო სერვისების პროგრამისთვის მოიაზრება 14 პროფესიული მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, ***თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.***

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საფინანსო სერვისები** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებაში. პერსონალი ჩართულია სასწავლო პროცესში, მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების მტკიცებულებები შესწავლილი აქვს ვალიდაციისა და ვერიფიკაციის ჯგუფს და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები შეფასების სისტემის განვითარების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებლ პირებს აქვთ მაღალი კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. თუმცა, რეკომენდებულია დაწესებულებამ პერსონალის პირად საქმეში განათავსოს ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“, მოცემული კომპონენტი შეფასებულია მე-4 სტანდარტის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **საფინანსო სერვისები** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე საბანკო სფეროში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის განხოციელებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - **საფინანსო სერვისები** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. პროფესიულ საგანმანათლებლო მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი იცნობენ უახლეს საბანკო პროცედურებს, მუდმივად ეცნობიან ზედამხედველი ბანკის სიახლეებს და აქტიურად იყენებენ ახალ რესურსს სწავლების პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი, თუმცა ასეთი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა მზადაა მოემსახუროს და გაუწიოს მისთვის საჭირო სერვისი, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საფინანსო სერვისები** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი არის 10 პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

სტუდენტი, ხოლო მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 16-ს. ამ ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 9 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტის შედგენისას დაშვებულია გაანგარიშებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის შეცდომები - კერძოდ რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია შემდეგნაირად - სწავლის საფასური 25000 ლარი (10X 3000 ლარი), ხარჯები დათვლილია 30 000 ლარზე, მაშინ როდესაც ხარჯებში სხვა ხარჯთან ერთად მოცემულია - სასწავლო რესურსების განახლება (წიგნადი ფონდი) - 15000 ლარი, ბიუჯეტის 5%; დამატებითი ინვენტარის შეძენა- გაუმჯობესება/ რესტავრაცია - 15000ლარი, ბიუჯეტის 5%, ვინაიდან დაწესებულების მიერ მოცემული ხარჯები გაანგარიშებულია საერთო ბიუჯეტის 5-5%-ის სახით, ადგილი აქვს ტექნიკურ უზუტობებს, თუმცა როდესაც საკითხი ეხება ბიუჯეტის შედგენას, რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს მეტი სიზუსტით შეადგინოს პროგრამის ბიუჯეტი. დაწესებულებას პროგრამის ბიუჯეტის ფაქტობრივი ანალიზი არ წარმოუდგენია. ინტერვიურება ვერ შედგა დაწესებულების ბუღალტერთან, მისი მდგომარეობის გამო, თუმცა კოლეჯის დირექტორმა ისაუბრა პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხებზე და აღნიშნა, რომ ტექნიკური უზუსტობები გასწორდება, ხოლო არარენტაბელური ჯგუფის დაფინანსებისთვის გამოიყენებს სხვა პროგრამიდან მიღებული შემოსავლების რესურსს, ასევე მზადაა დამფუძნებლის ინსვესტირების საფუძველზე სრულფასოვნად უზრუნველყოს პროგრამის განხორციელება, იმ მოტივით, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებზე არის მზარდი დასაქმების სტატისტიკა და მათ აქვთ რეალური შესაძლებლობა დასაქმდნენ, როგორც კოლეჯის პარტნიორ დაწესებულებაში, ისე სხვა ორგანიზაციებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, ***თუმცა რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას მეტი სიზუსტით განხორციელდეს ხარჯებისა და შემოსავლების კალულაცია, ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივი ხარჯები და შედეგები გაითვალისწინოს მომდევნო ჯგუფის სწავლების პროცესის დაგეგმვისას.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N1-08 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“;
2. კოლეჯის პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები: სს ლიბერთი ბანკი, შპს „მადაგონი 2“;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **საფინანსო სერვისები** და მისი დანართები;
4. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
5. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 29 მარის N1-19 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** დამტკიცების შესახებ;
6. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. კოლეჯის მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
8. კოლეჯის მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
9. კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსამთავრებულებთან, პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები“. დოკუმენტში პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. შესაბამისად, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯს ღონისძიებები აღწერილი აქვს შემდეგი მიმართულებით:
   1. საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები;
   2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პიროვნული და პროფესიული მახასიათებლების შეფასება, პროფესიული მასწავლებლის სასწავლო მეთოდები, სასწავლო პროცესის დაგეგმარება;
   3. სასწავლო გარემო და რესურსები/ პრაქტიკის ბაზა; გარემოსა და რესურსების რელევანურობის შეფასება პროგრამის ადეკვატური განხორციელების კონტექსტში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

4. პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მათი უკუკავშირი კონკრეტულ მოდულთა, სასწავლო პროგრამის განხორციელების კონტექსტში;
5. კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. წარმოდგენილია ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმა და ცალკეული აქტივობების შესრულების მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულის დასტურად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამუშაო შეხვედრების ოქმები, დასკვნები, ანგარიშები, კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევის შედეგები და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ზემოაღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები, მათ შორის: დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშები და სხვ.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას არც ერთ პირს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება კოლეჯის მიერ მათი მოთხოვნისა და საჭიროების უგულებელყოფის თაობაზე.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა გამოითხოვეს ინფორმაცია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებთან მიმართებით. შესრულებული სამუშაოების მტკიცებულებებად წარმოდგენილია: კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი; პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვების მასალა, შეხვედრების ფურცლები, ოქმები, სამუშაო შეხვედრების ფოტო - მასალა. ასევე, წარმოდგენილი იქნა მოდულების შეფასების ფორმები, ხარისხის მართვის მენეჯერის 2021- და 2022 წლების ანგარიშები პროგრამის განვითარების მიზნით გაწეული სამუშაოს თაობაზე. ხარისხის მართვის მენეჯერის 2022 – 2023 სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსის განვითარებას, დაინტერესებული მხარეების კვლევების ჩატარებას, პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით ანგარიშგების წარდგენასა და პროგრამების განვითარებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის შეფასებისა და განვითარების ფარგლებში დაწესებულებას დაწყებული აქვს ვერიფიკაციის პროცესი, რომლის შედეგების გამოყენება იგეგმება პროგრამის განვითარების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 29 მარის N1-19 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **საფინანსო სერვისები** და მისი დანართები;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები, მათ შორის: დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშები და სხვ.;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - **საფინანსო სერვისები** ცვლილებების განხორციელების მტკიცებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

5. კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები;
6. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **საფინანსო სერვისები** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და ელექტრონულად.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას კოლეჯის პერსონალმა განაცხადა, რომ დისტანციური სწავლების პირობებში კოლეჯმა სწრაფად და მარტივად განახორციელა რეაგირება და სასწავლო პროცესი წარმართა შეფერხებების გარეშე.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ, ასევე გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საფინანსო სერვისები** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ორივე ობიექტზე, სადაც დააკვირდა პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესს, შედგა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებაზე პასუხისმგებელ პირებთან, ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთაც დაადასტურეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობით კმაყოფილება, დასაქმების მზაობა და შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერას, სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭირობის შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საფინანსო სერვისები** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, შიდა ონალინ სისტემა, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურების ვრცლად გაწერილი კოლეჯ „არსის“ „სსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიაში, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 07 ივლისის N1-22 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საფინანსო სერვისები** ფარგლებში არ ჰყავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტები, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილია მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საფინანსო სერვისები** განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან, პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ და „საწარმოო პრაქტიკის“ სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (16 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით. „საწარმოო პრაქტიკის “ მოდულთან დაკავშირებით გაფორმებულია ხელშეკრულება სს „ლიბერთი ბანკთან“, ხოლო შპს ,,მადაგონთან“ -გაფორმებული ხელშეკრულებით დაგეგმილია მოდულის - „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ პრაქტიკული კომპონენტის სწავლება.

ვიზიტის პერიოდში დათვალიერებულ იქნა პრაქტიკის ორივე ობიექტი, ასევე გასაუბრება შედგა, როგორც კომპანიის თანამშრომლებთან, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი იყვნენ პროფესიული სტუდენტების სწავლების პროცესში, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

გასაუბრებით დადასტურდა, რომ პრაქტიკის ობიექტი არის გამტარუნარიანი მიიღოს სტუდენტთა ზღვრული ოდენობა (16 პროფესიული სტუდენტი) და უზრუნველყოფილი იქნას მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სს „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულების ფარგლებში არ არის მითითებული რა მოდულის განხორციელება ხდება პრაქტიკის ობიექტზე და არ არის დაზუსტებული სტუდენტების ზღვრული ოდენობა. ასევე სს „ლიბერთი ბანკთან“ არსებული ხელშეკრულება გაფორმებულია 2021 წლის 24 დეკემბერს, რომლის მოქმედების ვადა აითვლება 2022 წლის 3 იანვრიდან და მოქმდებს 2 კალენდარული წლის ვადით (სრულდება 2024 წლის 2 იანვარს) . ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულება არ მოიაზრებს ვადის ავტომატურად გაგრძელებას, თავისთავად თვალსაჩინოა, რომ საწარმოო პრაქტიკის მოდულის განხორციელების დროს (რომლის წინაპირობაც ყველა მოდულის გავლაა) აღნიშნული ხელშეკრულება არ იქნება ვადიანი. ვიზიტის დროს დაწესებულებამ მიმართა ლიბერთი ბანკს ხელშეკრულების ვადის გაგარძელების თხოვნით. კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ ლიბერთი ბანკი ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს არსებული ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე, ასევე წარმოდგენილია ლიბერთი ბანკთან ოფიციალური მიმოწერა კოლეჯის პროფესიული სტუდენტების დასაქმების მიმართულებით.

ამჟამად პროფესიული სტუდენტები სწავლების პროცესს გადიან შპს ,,მადაგონი 2“-ში. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებს. პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლები ადასტურებენ კოლეჯთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, ასაბუთებენ ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არიან უზრუნველყონ კურსდამთავრებულთა დასაქმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **საფინანსო სერვისები** არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. ხოლო უსაფრთხოების ზოგადი ნორმები კოლეჯში დაცულია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 29 მარის N1-19 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **საფინანსო სერვისები** და მისი დანართები;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები;
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯ „არსის“ „სსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები, მათ შორის: დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშები და სხვ.;
5. კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები;
6. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები;
7. კოლჯის პრატნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთ ინტერვიურების შედეგები;
8. კოლეჯის ინფრასტრუქტურის ვიზული დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულების“ მესამე თავი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

შემუშავების, შუალედური შეფასების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №1-30 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯი „არსის“ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები, ხოლო 2022 წლის 07 ნოემბრის №1-32 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯი „არსის“ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი და პირობები, სადაც გათვალისწინებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები და გაწერილია შუალედური შეფასების წესი და პროცედურა.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ/ის/ების/ თემატიკაზე დაყრდნობით; მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, თუმცა, ვალიდაციის პროცესში იშვიათად არიან ჩართულნი დარგის სპეციალისტები. დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა ჩართოს ვალიდაციის პროცესში დარგის სპეციალისტები. ვალიდური განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი ინახება დაწესებულების ინსტრუმენტების ბანკში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდგომი შეფასების მიზნებისთვის. პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგების შეფასება აისახება შეფასების ფურცელში/ჩეკლისტში.

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ყურადღება გამახვილდა შეფასების სისტემაზე. პროფესიულმა სტუდენტებმა ისაუბრეს შეფასების კრიტერიუმებისა და განმსაზღვრელი შეფასების თაობაზე ინფორმირების მექანიზმის შესახებ.

არსებული დოკუმენტაციის (ინსტრუმენტები, უწყისები, მტკიცებულებები) შეფასებით, მასწავლებელთა, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუს საფუძველზე, ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, ***თუმცა რეკომენდებულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვისდაწესებულებამ პროცესში ჩართოს დარგის სპეციალისტი.***

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები ითვალისწინებს ვერიფიკაციის ჩატარების წესსა და პროცედურას. კოლეჯი ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, ხოლო ვერიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროცესი ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელშიც ვერიფიკატორის სტატუსით შედიან დარგის სპეციალისტ/ებ/ი და საჭიროების შემთხვევაში სხვა პირები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის ჩატარების მტკიცებულებები, ანგარიშები, ფორმები და სხვ. ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუირების პროცესში აღინიშნა, რომ ვერიფიკაციის პროცესი გრძელდება და მიღებული შედეგები გამოიყენება ხარისხის განვითარების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულების“ მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება (ლექციებზე დასწრების აღრიცხვის ფურცლები, ტესტები, პროექტები, შემფასებლის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება პროგრამების კოორდინატორთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტის მიერ ელექტრონული სახით შექმნილი პროდუქტი იწერება ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება პროგრამების ხელმძღვანელთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულება/პროდუქტი ინახება იმგვარად რომ შესაძლებელია მათი აღრიცხვა, რეგისტრაცია და ავტორ/ებ/ის იდენტიფიცირება.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები, მათ შორის, პრაქტიკის ობიექტებიდან მოტანილი მტკიცებულებები. დაათვალიერეს კოლეჯის არქივი. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულების“ მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების მიღწევის დონე სწავლის შედეგებთან მიმართებაში და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიულ სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. რეგულაციაში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით და ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ინტერვიუირებით დადასტურდა მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები;
3. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N1-32 ბრძნებით დამტკიცებული „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი კოლეჯი „არსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის“;
4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N1-30 ბრძნებით დამტკიცებული „კოლეჯი „არსის“ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები“;
5. საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის შედეგები;
6. საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული შუალედური გამოცდის მტკიცებულებები;
7. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და მტკიცებულებები;
8. მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთსავი, აფხაზეთის ქ.N12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	---
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების გადაწყვეტილება **„ფარმაციის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას. დირექტორის 2023 წლის 28 მარტის N1-18 ბრძანების - „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ, თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ბაზრის მოკვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების (ადამიანური, მატერიალური, სასწავლო და ფინანსური) ანალიზსა და კონსულტაციას დაწესებულების ადმინისტრაციასთან. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: ა) არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება მოკვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით; ბ) გაზრდილია მომართვიანობა ამ სპეციალობაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ფარმაცია“** მიზანშეწონილობა შემუშავებულია აღნიშნული მიდგომების დაცვით.

დაწესებულების მისიაა მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სამედიცინო მიმართულების კვალიფიციური კადრების მომზადება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების და მასზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ბიზნესსა და საგანმანათლებლო სფეროს შორის ურთიერთეფექტური თანამშრომლობის დამყარების ხელშეწყობა. სტრატეგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

განვითარების გეგმაც გამომდინარეობს მისიიდან. საგანმანათლებლო პროგრამა **„ფარმაცია“** არის ჯანდაცვის მიმართულების პროგრამა და ის შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

შრომის ბაზრის კვლევების ანალიზითა და პარტნიორ კომპანიებთან კომუნაკაციით დაწესებულებამ დაადასტურა შრომის ბაზარზე პროგრამის მოთხოვნადობა. ასევე, მასზე მაღალია მოთხოვნა აპლიკანტთა მხრიდანაც, რაც დასტურდება აპლიკანტთა ოდენობის მზარდი სტატისტიკური მონაცემებით. დაწესებულებას აქვს პროგრამის განხორციელების გამოცდილება, ჰყავს ძლიერი პარტნიორები **- სააფთიაქო ქსელის შპს „ავერსი - ფარმას“ და შპს „გეფას“** სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„ფარმაცია“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტთან - **„ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy“ (რეგისტრაციის ნომერი - 09110-პ**; პროგრამის დამტკიცების და ბოლო ცვლილების თარიღი: 28/03/2023 წელი (ბრძანება უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ) მოთხოვნასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“ მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის №1-22 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, რაც შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ფარმაციის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა ითვალისწინებს მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული ტესტირების გავლას. დამატებითი შერჩევის მეთოდი, რაც დაშვებულია კანონმდებლობით, არ არის გათვალისწინებული.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“ ითვალისწინებს კოლეჯის მეხუთე დონის პროგრამებზე სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ასლის წარმოდგენას. რეგულაცია, კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე უშვებს შესაძლებლობას, რომ აპლიკანტმა არ წარმოადგინოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა ,,ფარმაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანება და შერჩევის პრინციპით შესწავლილ იქნა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითაც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან პირები პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, ჩარიცხვის პროცედურის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 28 მარტის N 1/18 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის - **„ფარმაცია“**. რომლის თანახმად, პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: A, B, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და აღჭურვილობის რაოდენობა; პარტნიორი ორგანიზაციის/პრაქტიკის ობიექტის რესურსი (მატერიალური/ადამიანური/პრაქტიკის ხელმძღვანელთა რაოდენობა) და სასწავლო გარემოთა გამტარუნარიანობა, როცა ერთი და იგივე ფართი გამოყენებულია რამდენიმე პროგრამის ფარგლებში. ასევე, გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა და კვირეული დატვირთვა, პროგრამის განხორციელების ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, დაწესებულების პერსონალის რაოდენობა, სასწავლო რესურსის რაოდენობა, სასწავლო სივრცე - 1-A, 2-B, და 2 A /C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების, ინვენტარისა და აღჭურვილობის რაოდენობა და პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, სააფთიაქო ქსელთან ,,ავერსი-ფარმა“ და „გეფა“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთდროულად მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა შეთანხმებული რაოდენობა შესაბამისი და საკმარისია 40 პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გასაწევად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით - **ფარმაცია** განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი/აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები საკმარისი და შესაბამისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის. ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით - **ფარმაცია** განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი გამოსაყენებელი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა - **ფარმაცია** ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს, რომლის კრედიტების რაოდენობა არ აღემატება პროგრამის საერთო მოცულობის 20%-ს. ეს მოდულია: ,,მზა სამკურნალწამლო ფორმები“, 3 კრედიტის მოცულობით. არჩევითი მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და იძლევა კურსდამთავრებულთათვის დამატებით საშუალებას, გაიფართოონ დასაქმების შესაძლებლობები. აღნიშნული მოდული გათვალისწინებულია ჩარჩო დოკუმენტით ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია წარმოდგენილი პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 28 მარტის N1-18 ბრძანებით „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ. პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებით“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება **„ფარმაცია“** თანხვედრაშია **ფარმაცია (სააფთიაქო)** ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებასა და კვალიფიკაციასთან **უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy,** შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

8. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის **„ფარმაცია“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.

პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები; სავალდებულო პროფესიული მოდულები; არჩევითი მოდული; სასწავლო გეგმა; ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ; ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში.

სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები; სასწავლო გეგმის მიხედვით პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულის - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი, რომელიც არეგულირებს პროგრამაში ცვლილების საკითხებს. რეგულაციის მიხედვით, პროგრამის ცვლილების (სასწავლო გეგმის, საათების, შედეგების და სხვა) განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს ჯგუფის შექმნა. ამ შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებების ასახვა ხორციელდება პროგრამის შემუშავების ეტაპების ანალოგიურად. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ფარმაციის პროგრამაში ცვლილება შეტანილია შემუშავების ეტაპის ანალოგიურად, სამუშაო ჯგუფის მიერ. წარმოდგენილი იქნა პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: შეხვედრის ფურცლები და ოქმები. წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინტერვიუს გზით იდენტიფიცირდა ის ძირითადი საკითხები რაც შეიცვალა განახლებულ პროგრამაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 28 მარტის N1-18 ბრძანება „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი;
3. დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
4. დაწესებულების პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები: სააფთიაქო ქსელის შპს ,,ავერსი - ფარმა“; შპს „გეფა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;
7. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები;
8. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N1-08 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა“;
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია“ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთება;
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია“ ცვლილების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ფურცლები, ოქმები;
11. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გათვალისწინებულია: ერთი A გარემო 20 სამუშაო ადგილით- პროფესიული სტუდენტისთვის, 1 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. ორი B გარემო - 20 ინდივიდუალური სამუშაო ადგილით და 11 სამუშაო ადგილით (20 კაციანი ასევე გამოიყენება „საფინანსო სერვისების“ პროგრამის მიზნებისთვის); ორი A/C გარემო - მათ შორის: ქიმიურ - ტექნოლოგიური ლაბორატორია და სააფთიაქო-ბიოლოგიური ლაბორატორია თითოეულში 20 სამუშაო ადგილით, სულ 40 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული მოდულების ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს, „ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გათვალისწინებული სასწავლო ფართი და დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი. რესურსების ფლობის მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა ბალანსზე აღრიცხული აღჭურვილობის ჩამონათვალი, სასაქონლო ზედნადებები და მიღება - ჩაბარების აქტები. დადასტურდა, რომ დაწესებულების ბაზაზე განსახორციელებელი მოდულების სწავლის შედეგების მისაღწევად ყველა რესურსი უზრუნველყოფილია. დაწესებულებას მეტწილი შესაბამისობით ჰქონდა შეფასებული კომპიუტერული ტექნიკის ფლობის კომპონენტი და წარმოდგენილი იყო გეგმა 14 კომპიუტერის შესყიდვის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი კომპიუტერული ტექნიკა და მათი შესყიდვის დოკუმენტები.

გარდა კოლეჯში არსებული სასწავლო ფართისა, ,,ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 8 მოდულის სწავლება გათვალისწინებულია პარტნიორი ფარმაცევტული ორგანიზაციების ბაზაზე. პარტნიორ კომპანიასთან - შპს ,,ავერსი - ფარმა“ გაფორმებული შპს „ავერსი-ფარმა“ (ხელშ. 28 მარტი 2023 წელი); ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი აცხადებს მზაობას ერთდროულად მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი და ის გადაანაწილოს ქ. რუსთავის სააფთიაქო ქსელის ობიექტებზე. იგივე პირობებით თანამშრომლობს კოლეჯი მეორე პარტნიორ ორგანიზაციასთან - შპს „გეფა“ (ხელშეკ.N 4/30-23, 14 მარტი 2023 წელი;), რაც დაადასტურა პრაქტიკის ხელმძღვანელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურების დროს. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, პარტნიორის ბაზაზე ხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილი მოდულები, ჯამში 19 კრედიტის მოცულობით (**პროგრამის საერთო მოცულობის 15%).**

1. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ **(2 კრედიტი);**
2. „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“ **(4 კრედიტი);**
3. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“ **(2 კრედიტი);**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

4. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“ **(3 კრედიტი);**

5. „მომხმარებლისათვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“ **(3 კრედიტი);**

6. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“ **(2 კრედიტი);**

7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა“ **(2 კრედიტი);**

8. „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ **მეხუთე სწავლის შედეგი (1 კრედიტი).**

შპს ,,ავერსი ფარმასთან“ და სს „გეფასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებს დანართის სახით ახლავს ზემოაღნიშნული 8 მოდულის სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის, ასევე, მასალა-ნედლეულის ჩამონათვალი, რომლითაც უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესი და რომლის გამოყენების საშუალებაც აქვთ პროფესიულ სტუდენტებს.

აფთიაქში პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაზე პასუხისმგებელნი არიან პრაქტიკის ხელმძღვანელები, რომლებსაც გავლილი აქვთ გადამზადება სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიმართულებით. ხელშეკრულების დანართში მითითებული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროგრამის კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს პრაქტიკის ბაზებზე სრულფასოვანი სწავლების და ყველა მოდულის გავლის ფაქტი.

თითოეულ ობიექტზე განაწილებულია არაუმეტეს 2 პროფესიული სტუდენტი. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის სასწავლო გეგმა იძლევა ორ ცვლაში სწავლების შესაძლებლობასაც. დაწესებულებასა და პარტნიორს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

თანამშრომლობის ფორმატი პროფესიულ სტუდენტთა გადანაწილებას, სწავლებასა და კომუნიკაციის არხებთან დაკავშირებით. ასევე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კურსდამთავრებულთათვის ვაკანსიების შეთავაზებისა და მათი დასაქმების ხელშეწყობის საკითხები. პრაქტიკის ბაზებზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და შეფასებას მონიტორინგს უწევს კოლეჯის პრაქტიკის და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირი და პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუსას დაადასტურეს, რომ ისინი სრულფასოვნად ფლობენ ინფორმაციას პარტნიორთა ბაზებზე მიმდინარე სწავლების თაობაზე, უწევენ კოორდინაციას პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა გადანაწილების პროცესს, რა დროსაც ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს მათი საცხოვრებელი მისამართის შესაბამისად.

ექსპერტების მიერ შეფასებულია არსებული მატერიალური რესურსი, დაწესებულებისა და პარტნიორის ბაზებზე არსებული რესურსი იძლევა ერთდროულად 40 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობაა 25, მათ შორის 9 ზოგადი მოდულის, 16 პროფესიული/დარგობრივი მოდულის განხორციელებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, მათ შორის, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ ადამიანური რესურსის ჩამონათვალთან.

პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესის მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს მოდულების განხორციელების მდგრადობას, რისთვისაც პროგრამის შემუშავებისას დარგობრივი მოდულების განხორციელებისათვის განსაზღვრულია არანაკლებ ორი განმახორციელებელი, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელების მდგრადობის შეფასების მიზნით, ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს იმ პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ბადე, რომლებიც ახორციელებენ მოდულებს, როგორც ,,ფარმაციის“ ასევე „საექთნო საქმის“ პროგრამებზე და დადასტურებულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა არ უშლის ხელს, რომ ერთი და იგივე მასწავლებლები დატვირთულნი იყვნენ სხვადასხვა პროგრამებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, ***თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

3. დაწესებულების წესდებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მფლობელი, ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი ტ.რ., რომელიც ახორციელებს პროფესიულ თეორიულ მოდულებს კოლეჯში, არ არის პროვიზორი, არის სტომატოლოგი. დაწესებულებამ წარმოადგინა ცნობა მისი კვალიფიკაციის დასადასტურებლად (იბერფარმაში-ში მენეჯერის პოზიციაზე მუშაობის ცნობა), რომელიც დარგის ექსპერტმა არ მიიჩნია დამაკმაყოფილებლად, რადგან ის 5 მოდული (მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება; პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება; მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში; მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა), რომელსაც ეს ქალბატონი ახორციელებს არის ვიწრო სპეციალიზაციის დარგობრივი მოდულები და არასპეციალისტი, მენეჯერის გამოცდილებით ვერ წაიკითხავს ამ მოდულებს. თუმცა, დაწესებულებას მოცემული მოდეულების განმახორციელებლად განსაზღვრული ჰყავს კიდევ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაც უდასტურდებათ მოცემული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო კომპეტენცია, ამასთან ზემოაღნიშნულ ქალბატონს - ტ.რ, მოცემული მოდულები ჯერ არ განუხორციელებია, ვინდაინ ეს მოდულები დაგეგმილია სწავლების მეორე წელს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან არ დგას პროგრამის განხორციელების მდგრადობის რისკი, ხოლო არ ფიქსირდება მოცემული მოდულების ნაკლები კვალიფიციურობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

განხორციელების ფაქტი, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რომ აღნიშნული ქალბატონი დააკავოს მხოლოდ ისეთი მოდულების წაკითხვით, როგორიცაა მაგ: გადაუდებელი სამედიცინო დახმარება“ და „ანატომია ფიზიოლოგია“.

ასევე აღსანიშნავია, რომ არც ერთ პირად საქმეში არ იყო ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია წარმოედგინა აღნიშნული ცნობები, მოცემული კომპონენტი შეფასებულია მე-4 სტანდარტის ფარგლებში.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა აღნიშნეს დაწესებულების ხელმძღვანელობის მზაობა მათ პროფესიულ განვითარებასთან მიმართებაში. ასევე, გამოთქვეს კმაყოფილება, რომ არ აქვთ გამოწვევები მასალა-რეაქტივების შეძენასთან თუ სხვა სასწავლო რესურსთან დაკავშირებით. მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე ყველას გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ***თუმცა რეკომენდებულია, დაწესებულებამ პერსონალის შერჩევისას მაქსიმალურად გაითვალისწინოს პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის თავსებადობა შესასრულებელი მოვალეობების.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

4. დაწესებულების წესდებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესახებ. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი.

ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე - კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ის არის დარგის კვალიფიციური წარმომადგენელი. პროფესიით პროვიზორი, აქვს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტია.

პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელისა და მისი, როგორც მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა ყოველკვირეულად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, რაც დაცულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დამტკიცებული საათობრივი დატვირთვა; ცხრილები).

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელს აღნიშნული მიმართულებით არ აქვს დიდი გამოცდილება, თუმცა მასთან ინტერვიუთი განსაკუთრებით გამოიკვეთა მისი აქტიური ჩართულობა, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი მუდმივი კავშირი პროგრამის ხელმძღვანელთან და განსაკუთრებულად დადებითი დამოკიდებულება. პროგრამის ხელმძღვანელი არის ენერგიული, თავისი საქმის მცოდნე, კომპეტენტური,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დარგსა და პროფესიულ სტუდენტებზე შეყვარებული ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. დაწესებულებაში ცალკე არის გამოყოფილი ბიბლიოთეკის სივრცე (სამკითხველოთი), სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა/ დასკანერება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, მატერიალურად ან/და ელექტრონულად. კოლეჯის ვებ - გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი, სადაც შეყვანილია პროგრამაში მითითებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი (როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით).

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები (თითქმის ყველა პროფესიული მოდულის სასწავლო რესურსი), რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბიბლიოთეკო რესურსის გადამოწმებისა და ინტერვიუირებით (ბიბლიოთეკარი, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, განმახორციელებლები) დადასტურებულია, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ბიბლიოთეკარი არის თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ფარმაცია** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი არის 26 პროფესიული სტუდენტი, ხოლო მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 40-ს. ამ ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 23 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტის შედგენისას დაშვებულია რენტაბელობის ზღვარის გაანგარიშებასთან დაკავშირებული შეცდომა, კერძოდ კოლეჯი 40 პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას განახორციელებს 2 ჯგუფად, შესაბამისად დაწესებულებამ ბიუჯეტი უნდა შეადგინოს თითო ჯგუფისათვის, ხოლო რენტაბელობის ზღვარი განისაზღვრება თითოეული ჯგუფისათვის. ინტერვიურება ვერ შედგა დაწესებულების ბუღალტერთან, მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

მდგომარეობის გამო. თუმცა კოლეჯის დირექტორმა ისაუბრა პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხებზე და აღნიშნა, რომ ტექნიკური უზუსტობები გასწორდება, ხოლო არარენტაბელური ჯგუფის დაფინანსებისთვის მზადაა დამფუძნებლის ინსვესტირების საფუძველზე სრულფასოვნად უზრუნველყოს პროგრამის განხორციელება, იმ მოტივით, რომ მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებზე არის მზარდი დასაქმების სტატისტიკა და მათ აქვთ რეალური შესაძლებლობა დასაქმდნენ, როგორც კოლეჯის პარტნიორ დაწესებულებაში, ისე სხვა ფარმაცევტულ დაწესებულებებში. ამასთან, მოცემულ პროგრამაზე კოლჯში სწავლობს პირველი მიღების ერთი ჯგუფი და კოლეჯის ფინანსური რესურსი საკმარისია პროფესიულ სტუდენტთა სრულფასოვანი სწავლებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, ***თუმცა რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარი განსაზღვროს თითო ჯგუფის სწავლებისას, ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივი ხარჯები და შედეგები გაითვალისწინოს მომდევნო ჯგუფის სწავლების პროცესის დაგეგმვისას.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების წესდება;
2. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 28 მარტის N1-18 ბრძანება „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი;
4. დაწესებულების პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები: სააფთიაქო ქსელის შპს ,,ავერსი - ფარმა“; შპს „გეფა“;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;
7. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ორტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია“ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთება;
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები;
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სასწავლო საქმიანობის საათობრივი განაწილების სალექციო ბადე;
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის განვითარების ღონისძიების ჩატარების მტკიცებულება;
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსის ბიბლიოთეკაში არსებობის შემოწმების შედეგები;
13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ფარმაცია** ბიუჯეტი;
14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
15. კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს გამოკითხვებს, რისთვისაც იყენებს პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმებს. ასევე, შეფასებისათვის გამოყენებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

არსებული მექანიზმის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ფარმაციის პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები. მიზანშეწონილობის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებობს კვალიფიცირებული ფარმაცევტული კადრების მზარდი მოთხოვნა, შესაბამისად სააფთიაქო ქსელები საჭიროებენ კვალიფიციურ პერსონალს, რაც დადასტურებულია სააფთიაქო ქსელის პარტნიორების გამოკითხვით. კვალიფიციურ პერსონალს მუდმივად საჭიროებს კოლეჯის პარტნიორი ,,ავერსი ფარმა“ და „გეფა“, რომლებიც ჩართულნი არიან სწავლების პროცესში.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის, სტუდენტთა მოძრაობის (ჩარიცხვა, შეჩერება, მობილობა შეწყვეტა, დასრულება) სტატისტიკის შესწავლას; პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვას სასწავლო პროცესისა და მოდულების შეფასების მიზნით, კურსდამთავრებულთა და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვას. გარდა შეფასებისა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა ან გაუქმება შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, საკანონმდებლო ცვლილებების, პროგრამის გაუმჯობესების, დახვეწის, უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით ან სხვა გარემოებების საფუძველზე; პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ზემოაღნიშნული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფუძნება დემინგის ციკლს (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე).

პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით; ბ) მონაცემების დამუშავება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი; გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/პროგრამების კოორდინატორის და სხვა პირების მიერ; დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა.

ზემოაღნიშნულის დასტურად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამუშაო შეხვედრების ოქმები, დასკვნები, ანგარიშები, კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევის შედეგეი და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყდნობა პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ზემოაღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები, მათ შორის: დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშები და სხვ.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას არც ერთ პირს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება კოლეჯის მიერ მათი მოთხოვნისა და საჭიროების უგულებელყოფის თაობაზე.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა გამოითხოვეს ინფორმაცია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებთან მიმართებით. შესრულებული სამუშაოების მტკიცებულებებად წარმოდგენილია: კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი; პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვების მასალა, შეხვედრების ფურცლები, ოქმები, სამუშაო შეხვედრების ფოტო - მასალა. ასევე, წარმოდგენილი იქნა მოდულების შეფასების ფორმები, ხარისხის მართვის მენეჯერის 2021- და 2022 წლების ანგარიშები პროგრამის განვითარების მიზნით გაწეული სამუშაოს თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსის განვითარებას, დაინტერესებული მხარეების კვლევების ჩატარებას, პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით ანგარიშგების წარდგენასა და პროგრამების განვითარებას. ასევე, ფარმაციის პროგრამის შეფასებისა და განვითარების ფარგლებში დაწესებულებას ახორციელებს ვერიფიკაციის პროცესს, რომლის შედეგების გამოყენება გაითვალისწინება პროგრამის განვითარების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 28 მარტის №1-18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ფარმაცია** და მისი დანართები;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები, მათ შორის: დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშები და სხვ.;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - **ფარმაცია** ცვლილებების განხორციელების მტკიცებულებები;
5. კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“ განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებს. კოლეჯში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა სასწავლო გეგმებთან შესაბამისობაში, ასევე შესწავლილი იქნა არსებული პრაქტიკა. პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილია ყველა სასწავლო მოდული და განსაზღვრულია სასწავლო კვირების რაოდენობა და დაგეგმილია გადაბარების კვირა იმ მოდულებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს მეორე მოდულზე დაშვების წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის კვირეული საათობრივი დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას კოორდინაციას უწევს პრაქტიკის და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომლებიც სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ პროფესიული სტუდენტების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სტუდენტებს ანაწილებს პარტნიორ კომპანიებში (პრაქტიკის ობიექტი) მათი რაოდენობის, პროგრამის, მოდულის და მოდულით განსაზღვრული საათების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დაწესებულებაში სწავლება ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტს შორის შეთანხმებულ ვადებში და მისამართზე. აღნიშნული დადასტურებულია დოკუმენტურად და პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელთან ინტერვიუირებით.

კოლეჯში მეცადინეობები ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო განრიგის შესაბამისად, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

მეცადინეობათა განრიგი განთავსებულია დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ან ეცნობება დაინტერესებულ პირებს დაწესებულებაში მოქმედი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების განაწილების შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა დამტკიცებული სასწავლო განრიგის შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწვლებლებს. დადასტურებულია კალენდარული გეგმების არსებობა და სასწავლო გეგმის, მოდულისა და კალენდარული გეგმების შესაბამისად მეცადინეობათა მიმდინარეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულების“ თანახმად, ფორს-მაჟორული გარემოებების, დაწესებულებისგან დამოუკიდებელი გარემოებების ან სხვა წინასწარ უცნობი გარემოებების/საჭიროებების შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება/შეუძლებელია დადგენილი სასწავლო პროცესის განხორციელება/სასწავლო გეგმის დაცვა, სასწავლებელი მოქნილად რეაგირებს აღნიშნულ გარემოებებზე და პროფესიულ სტუდენტებს უქმნის მათ ინტერესებზე მორგებული პირობებით ადეკვატური განათლების მიღების შესაძლებლობას - დასწრებითი ფორმატის სასწავლო პროცესის ჩანაცვლებას ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით. სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიდგომები. დაწესებულებამ უზრუნველყო პროფესიული სტუდენტისთვის და მასწავლებლისთვის ელექტრონული პლატფორმის მომხმარებლის პროფილების შექმნას და ტექნიკურ მხარდაჭერა. შემუშავდა რეგულაცია სასწავლო პროცესის ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით წარმართვის თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული ინიციატივების, მათ შორის ხარისხიანი პრაქტიკული სწავლების კუთხით და დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები და მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების წესით განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიური მიდგომები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯ „არსის“ „სსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის დოკუმენტში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეესაბამება ფარმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და გონივრულ ვადაში იძლევა პროგრამის დასრულების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ,,ავერსი ფარმასთან“ და „გეფასთან“. ხელშეკრულებებით დარეგულირებულია: მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები. ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის თაობაზე - განსაზღვრულია კომპანიის ბაზაზე მისაღწევი მოდულების/ სწავლის შედეგების დასახელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კომპანიები აცხადებენ მზაობას ერთდროულად მიიღონ 40 პროფესიული სტუდენტი. გათვალისწინებულია მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება, კვალიფიციური კადრებით სწავლების უზრუნველყოფა. ხელშეკრულებაში დანართის სახით მოცემულია სრულყოფილი ინფორმაცია მატერიალურ - ტექნიკური ბაზისა და ასევე, ხელმისაწვდომი მასალა- ნედლეულის თაობაზე. კომპანია ,,ავერსი ფარმა" ფარმაცევტულ სფეროში ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა, რომელსაც მხოლოდ თბილისში 200-მდე ობიექტი აქვს. ასევეა კომპანია „გეფა, რომელიც მოიცავს ჯიპისის და ფარმადეპოს აფთიაქების ქსელს. ის ოპერირებს რეგიონებშიც. კომპანია უკვე რამდენიმე წელია ჩართულია სწავლების პროცესში. კომპანია ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებს, მათი დაინტერესების შემთხვევაში, პრაქტიკული სწავლება გაიარონ მათივე რეგიონში არსებულ ბაზაზე.

კურსდამთავრებულებთან და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენელთან ინტერვიურებით დადასტურებულია პროფესიული მოდულების ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. ავერსი ფარმაც და გეფაც ამავე დროს კოლეჯის კურსდამთავრებულთა დამსაქმებელნი არიან. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიებს აღებული აქვთ ვალდებულება, რომ სწავლების დასრულების შემდეგ იზრუნებენ სააფთიაქო ქსელში არსებულ ვაკანსიებზე კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

6. ,,ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ინსტრუქცია“, რომელიც გამოკრულია ლაბორატორიაში. ინსტრუქცია არეგულირებს ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ზოგად და ტექნიკურ წესებს, რომლის დაცვა ევალება ლაბორატორიაში მყოფ ყველა პირს. ლაბორატორიაში არსებული ნივთიერებები გარკვეულწილად მომწამვლელი და ცეცხლსაშიშია, ამიტომ აუცილებელია სისუფთავის და წესრიგის დაცვა. ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტის მუშაობა დასაშვებია მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლის ნებართვითა და მისი მეთვალყურეობით. აღნიშნულ გარემოში განთავსებულია გამწოვი კარადა. თუმცა, უსაფრხოების წესში არის ტექნიკური უზუსტობები: მაგალითად - **თავი III საკანალიზაციო წყლები ლაბორატორიაში,** „4. წყალხსნარები დიქლორმეთანით ან ქლოროფორმით ექსტრაქციის შემდეგ უნდა განადგურდეს როგორც სახიფათო ნარჩენები ან უნდა მოშორდეს ადვილად აქროლადი ნახშირწყალბადები შესაბამისი მეთოდით; დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ეს ნაწილი ამოიღოს ამ წესიდან, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულების ქიმიურ ლაბორატორიაში არ გამოიყენება „დიქლორმეთანი“. ასევე, ამავე წესის **თავი III საკანალიზაციო წყლები ლაბორატორიაში ვკითხულობთ:** უტილიზაციას ექვემდებარება მხოლოდ ის მასალები, რომელთა შედგენილობა ცნობილია, არ არიან ფეთქებადი, არ არიან რადიოაქტიურნი, აგრეთვე არ უნდა შეიცავდნენ ძლიერ ტოქსიურ ნაერთებს; აღნიშნული ჩანაწერიც არ შეესაბამება რეალობას, ვინაიდან დაწესებულებაში არც ფეთქებადი და არც რადიოაქტიური ნივთიერებები არ გამოიყენება.

ასევე, რეკომენდებულია დაწესებულებამ ამავე წესის ქვეთავის სახელწოდებაში „კოლეჯ „არსის“ სააფთიაქო ლაბორატორიაში მუშაობის წესი სიტყვა „სააფთიაქო“ შეცვალოს სიტყვა „ქიმიურით“, რადგან ტერმინი „სააფთიაქო ლაბორატორია“ აზრობრივად სხვა დაწესებულებაზე მეტყველებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს - სამედიცინო არასახიფათო და სახიფათო (გარდა რადიაციული) ნარჩენების გაუვნებელყოფის სამუშაოებს (სპეციალურ კონტეინერებში განთავსება, სპეც. მანქანით ტრანსპორტირება საბოლოო დანიშნულებამდე და თერმული დამუშავება). წარმოდგენილია ხელშეკრულება გაუვარგისებული და ვადაგასული ქიმიური რეაქტივების განადგურების მომსახურებასთან დაკავირებით. უსაფრთოების საკითხები დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

არსებული მექანიზმებით და ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯ „არსის“ „სსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია;
2. ,,ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ინსტრუქცია“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

3. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 28 მარტის №1-18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ფარმაცია** და მისი დანართები;
4. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები, მათ შორის: დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშები და სხვ.;
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - **ფარმაცია** ცვლილებების განხორციელების მტკიცებულებები;
7. კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულების“ მესამე თავი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შუალედური შეფასების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას.

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №1-30 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯი „არსის“ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შუალედური შეფასების ჩატარების წესის და პირობები, ხოლო დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №1-32 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯი „არსის“ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი და პირობები, სადაც გათვალისწინებულია,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები და გაწერილია შუალედური შეფასების წესი და პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

შუალედურ შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი შეფასება პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვროს შუალედური შეფასების პერიოდი. აღნიშნული დაეხმარება მას შუალედური შეფასების შინაარსის გააზრებაში და შეფასების სწორად დაგეგმვაში.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ/ის/ების/ თემატიკაზე დაყრდნობით; მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, თუმცა, ვალიდაციის პროცესში იშვიათად არიან ჩართულნი დარგის სპეციალისტები. დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა ჩართოს ვალიდაციის პროცესში დარგის სპეციალისტები. ვალიდური განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი ინახება დაწესებულების ინსტრუმენტების ბანკში და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდგომი შეფასების მიზნებისთვის. პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგების შეფასება აისახება შეფასების ფურცელში/ჩეკლისტში.

ექსპერტებმა გამოითხოვეს რამდენიმე შეფასების ინსტრუმენტი. დარგის ექსპერტმა შინაარსობრივად გადაამოწმა მოდულების: „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“, „ფარმაკოლოგია“ და „სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული“ შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც მისი შეფასებით იყო ვალიდური და ნაწილობრივ ამოღებული იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

სტუდენტთა შეფასების სისტემის ბანკიდან. გარდა აღნიშნულისა, შეფასდა რამდენიმე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და მისი შესაბამისი მტკიცებულებები. ასევე, არ ყოფილა გასაჩივრების შემთხვევა, თუმცა, დაწესებულებას აპელაციის წესი განსაზღვრული აქვს.

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ყურადღება გამახვილდა შეფასების სისტემაზე. პროფესიულ სტუდენტებმა ისაუბრეს შეფასების კრიტერიუმებისა და განმსაზღვრელი შეფასების თაობაზე ინფორმირების მექანიზმის შესახებ.

არსებული დოკუმენტაციის (ინსტრუმენტები, უწყისები, მტკიცებულებები) შეფასებით, მასწავლებელთა, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუს საფუძველზე, ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობაში მოიყვანოს ფარმაციის ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესი და განსაზღვროს მხოლოდ იმ რესურსების გამოყენებისა და უტილიზაციის მექანიზმები, რომელთა გამოყენება წარმოებს ლაბორატორიაში სასწავლო მიზნებისათვის. ასევე, რეკომენდებულია პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასება გათვალისწინებული იქნეს სასწავლო გეგმაში. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის, რეკომედებულია დაწესებულებამ პროცესში ჩართოს დარგის სპეციალისტი.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ორტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები ითვალისწინებს ვერიფიკაციის ჩატარების წესსა და პროცედურას. დაწესებულების პერსონალთან ინტერიუირებით დადგინდა, რომ ფარმაციის პროგრამაზე წინა წლებში სრულყოფილი ვერიფიკაცია არ იყო ჩატარებული და ვერიფიკაციის ზემოაღნიშნული წესის შემუშავების შემდეგ შეიმუშავეს ვერიფიკაციის გეგმა და დაწყებული იყო ვერიფიკაციის პროცესი.

კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, ხოლო ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელშიც ვერიფიკატორის სტატუსით შედიან დარგის სპეციალისტ/ებ/ი და საჭიროების შემთხვევაში სხვა პირები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუირების პროცესში აღინიშნა, რომ ვერიფიკაციის პროცესი გრძელდება და მიღებული შედეგები გამოიყენება ხარისხის განვითარების მიზნით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: 2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულების“ მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება (ლექციებზე დასწრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

აღრიცხვის ფურცლები, ტესტები, პროექტები, შემფასებლის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება პროგრამების კოორდინატორთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტის მიერ ელექტრონული სახის პროდუქტი იწერება ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება პროგრამების კოორდინატორთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულება/პროდუქტი ინახება იმგვარად რომ შესაძლებელია მათი აღრიცხვა, რეგისტრაცია და ავტორ/ებ/ის იდენტიფიცირება.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები, მათ შორის, პრაქტიკის ობიექტებიდან მოტანილი მტკიცებულებები. დაათვალიერეს კოლეჯის არქივი. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

200

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებით“ გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების მიღწევის დონე სწავლის შედეგებთან მიმართებაში და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. რეგულაციის გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით და ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

განმავითარებელ შეფასებას ემსახურება შუალედური შეფასებაც, რომელიც ახალი რეგულაციის მიხედვით დაინერგება კოლეჯში.

ინტერვიუირებით დადასტურდა მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათ შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები;
3. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N1-32 ბრძნებით დამტკიცებული „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი კოლეჯი „არსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის“;
4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N1-30 ბრძნებით დამტკიცებული „კოლეჯი „არსის“ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები“;

5. ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინსტრუმენტი, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის ნიმუშები (ორი ინსტრუმენტის ფარგლებში ჩატარებული ვერიფიკაციის მასალა);
6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და მტკიცებულებები;
7. მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საქართო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საქართო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, აფხაზეთის ქ.12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	66
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☒
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	**არ შეესაბამება**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი არსის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო საქმე“ - განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას 6 ძირითადი ფაქტორით განისაზღვრება:

- საექთნო საქმე - ჯანდაცვის მიმართულება - არის კოლეჯი არსის პროფილის შემადგენილი ნაწილი, რაც ასახულია კოლეჯის მისიაში და გაზიარებულია კოლეჯის პედაგოგიური პერსონალის მიერ;
- რუსთავის და ზოგადად, ქვემო ქართლის რეგიონის შრომის ბაზრის ხვედრითი წილი კლინიკური სექტორის დიდ პროცენტს მოიცავს;
- შრომის ბაზრისგან არის მაღალი ინტერესი მათთვის ექთნის კვალიფიციური კადრის მიწოდების თაობაზე - რაზეც მეტყველებს ფორმალურ თუ არაფორმალურ რეჟიმში ურთიერთობა, შრომის ბაზრის რეგიონალური წარმომადგენლებისგან კოლეჯი „არსის“ შესაბამისი პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულთა თუ პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოებული გამოკითხვები შესაბამისი შრომის ბაზარის წარმომადგენლებთან მათთან დასაქმებული კოლეჯის კურსდამთავრებულების პროფესიული ცოდნის და უნარების შეფასების დადებითი გამოხმაურების შესახებ;
- კოლეჯი „არსის“ მიერ მიმდინარე პერიოდში „საექთნო საქმის“ პროგრამის მოქმედი პროფესიული სტუდენტების დიდი ნაწილი უკვე არის პროფილურ შრომის ბაზარზე დასაქმებულები; ასევე კოლეჯში აქამდე არსებული მონათესავე პროგრამის „პრაქტიკოსი ექთნის“ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი- არის პროფესიის შესაბამისად დასაქმებული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

- კოლეჯის „საექთნო საქმის“ პროგრამის პარტნიორობის წინადადებას კლინიკური პროფილის კომპანიები აქტიურად ეხმიანებიან მათი საბაზრო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

დაწესებულების მისიაა მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სამედიცინო მიმართულების კვალიფიციური კადრების მომზადება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების და მასზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ბიზნესსა და საგანმანათლებლო სფეროს შორის ურთიერთეფექტური თანამშრომლობის დამყარების ხელშეწყობა. სტრატეგიული განვითარების გეგმაც გამომდინარეობს მისიიდან. საგანმანათლებლო პროგრამა **„საექთნო საქმე“** არის ჯანდაცვის მიმართულების პროგრამა და ის შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

შრომის ბაზრის კვლევების ანალიზითა და პარტნიორ კომპანიებთან კომუნაკაციით დაწესებულებამ დაადასტურა შრომის ბაზარზე პროგრამის მოთხოვნადობა. ასევე, მაღალია მოთხოვნა აპლიკანტთა მხრიდანაც, რაც დასტურდება აპლიკანტთა ოდენობის მზარდი სტატისტიკური მონაცემებით. დაწესებულებას აქვს პროგრამის განხორციელების გამოცდილება, ჰყავს ძლიერი პარტნიორები - **„შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23,02,2023წ.); „შპს ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23.02.2023წ.), შპს „კლინიკა რუსთავი“(28,02,2023წ. ხელშ.); შპს „მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი-რუსთავი“(28.02.2023წ. ხელშ.); შპს ,,ა(ა)იპ ჰოსპისი ფერიცვალება (ხელშ.03.03.2023წ.)** სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **- საექთნი საქმე** დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორიის 2023 წლის 27 მარტის №1 - 17 ბრძანებით და შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „საექთნო განათლება / Nursing“, რომლის თანახმად შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“ მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის №1-22 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, რაც შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. საექთნო საქმის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა ითვალისწინებს მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული ტესტირების გავლას. დამატებითი შერჩევის მეთოდი, რაც დაშვებულია კანონმდებლობით, არ არის გათვალისწინებული.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“ ითვალისწინებს კოლეჯის მეხუთე დონის პროგრამებზე სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ასლის წარმოდგენას. რეგულაცია, კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე უშვებს შესაძლებლობას, რომ აპლიკანტმა არ წარმოადგინოს განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

ექსპერტების მიერ შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ,,საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითაც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან პირები პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, ჩარიცხვის პროცედურის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 27 მარტის N 1-17.2 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის - **„საექთნო საქმე“**. რომლის თანახმად, პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: A, B, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და აღჭურვილობის რაოდენობა; პარტნიორი ორგანიზაციის/პრაქტიკის ობიექტის რესურსი (მატერიალური/ადამიანური/პრაქტიკის ხელმძღვანელთა რაოდენობა) და სასწავლო გარემოთა გამტარუნარიანობა, როცა ერთი და იგივე ფართი გამოყენებულია რამდენიმე პროგრამის ფარგლებში. ასევე, გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა და კვირეული დატვირთვა; პროგრამის განხორციელების ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა, პროგრამის მოთხოვნადობა.

დაწესებულებამ საექთნო საქმის პროგრამისათვის წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას მხედველობაში იქნა მიღებული დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა, სასწავლო რესურსის რაოდენობა, სასწავლო სივრცე - A, B, და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების, ინვენტარისა და აღჭურვილობის რაოდენობა და პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, კლინიკური მოდულების განხორციელების მიზნით **„შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23,02,2023წ.); „შპს ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23.02.2023წ.), შპს „კლინიკა რუსთავი“(28,02,2023წ. ხელშ.); შპს „მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი-რუსთავი“(28.02.2023წ. ხელშ.); შპს „ა(ა)იპ ჰოსპისი ფერიცვალება (ხელშ.03.03.2023წ.)** გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთდროულად მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა შეთანხმებული რაოდენობა, რაც შესაბამისი და საკმარისია 66 პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გასაწევად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა და დადგინდა მათი შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აქვს გამოყოფილი ორი A და ერთ B სასწავლო გარემო გარემო. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში.

შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი გამოსაყენებელი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა - **საექთნო საქმე** მოიცავს ზოგად მოდულებს ჯამური 9 კრედიტის ოდენობით, პროფესიულ მოდულებს ჯამური 171 კრედიტის ოდენობით. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმის“ დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 27 მარტის N1-17 ბრძანებით „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ. პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრულია 2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებით“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება **„საექთნო საქმე“** თანხვედრაშია **საექთნო განათლება / Nursing** ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებასა და კვალიფიკაციასთან **უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing,** შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის **„საექთნო საქმე“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

მინიჭების პირობები, მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.

პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები; სავალდებულო პროფესიული მოდულები; სასწავლო გეგმა; მატერიალური რესურსისა და ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ; ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში.

სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები; სასწავლო გეგმის მიხედვით პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულის - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი, რომელიც არეგულირებს პროგრამაში ცვლილების საკითხებს. რეგულაციის მიხედვით, პროგრამის ცვლილების (სასწავლო გეგმის, საათების, შედეგების და სხვა) განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს ჯგუფის შექმნა. ამ შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებების ასახვა ხორციელდება პროგრამის შემუშავების ეტაპების ანალოგიურად. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით პროგრამაში ცვლილება შეტანილია შემუშავების ეტაპის ანალოგიურად, სამუშაო ჯგუფის მიერ. წარმოდგენილი იქნა პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურის დამადასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დოკუმენტაცია: შეხვედრის ფურცლები და ოქმები. წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინტერვიუს გზით იდენტიფიცირდა ის ძირითადი საკითხები რაც შეიცვალა განახლებულ პროგრამაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 27 მარტის N1-17 ბრძანება „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი;
3. დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
4. დაწესებულების პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები: „შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23,02,2023წ.); „შპს ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23.02.2023წ.), შპს „კლინიკა რუსთავი“(28.02.2023წ. ხელშ.); შპს „მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი-რუსთავი“(28.02.2023წ. ხელშ.); შპს ,,ა(ა)იპ ჰოსპისი ფერიცვალება (ხელშ.03.03.2023წ.);
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;
7. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N1-08 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო საქმე“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო საქმე“ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთება;
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე“ ცვლილების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ფურცლები, ოქმები;
10. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტების მიერ დოკუმენტაციის გაცნობის, მატერიალური რესურსის დათვალიერების და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასაც: „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი, რომლის არსებობაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციით. პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია ორი A, ერთი AC და ერთი B გარემო, სადაც განთავსებულია პროფესიული სტუდენტის 22 სამუშაო ადგილი, პროგრამის განმახორციელებელი პირის სამუშაო ადგილი. ამავე აუდიტორიაში განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი რესურსი. კოლეჯში განთავსებულია სამედიცინო პუნქტიც. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილის სწავლება, ძირითადად პრაქტიკის ობიექტებზე იგეგმება. პრაქტიკული სწავლების მოდულების, ასევე კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელება იგეგმება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებშია :- „შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

(ხელშ.23,02,2023წ.); „შპს ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23.02.2023წ.), შპს„კლინიკა რუსთავი“(28,02,2023წ. ხელშ.); “ შპს „მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი-რუსთავი“(28.02.2023წ. ხელშ.); შპს ,,ა(ა)იპ ჰოსპისი ფერიცვალება (ხელშ.03.03.2023წ.) რომლებსაც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. ხელშეკრულების თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული კლინიკები ადასტურებენ მოდულის შესაბამისი აქტივობების განხორციელების საშუალებას შესაბამის განყოფილებებში, ყველა კლინიკამ წარმოადგინა მარეგულირების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მათ უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე. ამ მოდულების გავლისთვის საჭირო ინვეტარს, აღჭურვილობას კლინიკა უზრუნველყოფს.

- **„შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან“ ხელშეკრულება გაფორმებულია 28 სტუდენტზე და გაივლიან შემდეგ მოდულებს:**
    1. „კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“
    2. „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმთელობა და ფსიქიატრია“

უნდა აღინიშნოს, რომ „შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან“ ხელშეკრულების გაფორმების მიუხედავად ჯერ სტუდენტები არ გაუგზავნია კოლეჯს.

- **„შპს ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან “ (ხელშ.23.02.2023წ.) ხელშეკრულება გაფორმებულია 14 სტუდენტზე და გაივლიან შემდეგ მოდულებს:**
    1. „კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმთელობა და ფსიქიატრია“

- **შპს„კლინიკა რუსთავი“ (ხელშ.23.02.2023წ.) ხელშეკრულება გაფორმებულია(6 წლის ვადით) 14 სტუდენტზე და შპს „ჯეო ჰოსპიტალში“, ხელშეკრულება გაფორმებულია (6წლის ვადით)14 სტუდენტზე, გადიან შემდეგ მოდულებს:**

1. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექრთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო;
3. კლინიკური პრაქტიკა -ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
7. კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა.
9. კლინიკური პრაქტიკა- პედიატრიული და მოზარდები;
10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები;
11. კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა;
12. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.
13. ავადმყოფის მოვლა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

- **შპს„მარდალეიშვილის კლინიკაში“ (ხელშ.23.02.2023წ.) ხელშეკრულება გაფორმებულია (6 წლის ვადით) 8 სტუდენტზე და გადიან შემდეგ მოდულებს:**
  1. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექრთნო მართვა;
  2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო;
  3. კლინიკური პრაქტიკა -ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
  4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
  5. კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
  6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
  7. კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
  8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა.
  9. ავადმყოფის მოვლა.

- **შპს ,,ა(ა)იპ ჰოსპის ფერიცვალება (ხელშ.03.03.2023წ.) ხელშეკრულება გაფორმებულია (6 წლის ვადით) 20 სტუდენტზე და გაივლიან შემდეგ მოდულს:**
  1. შინმოვლა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2023)

დაწესებულებაში მოწყობილი არის AC გარემო, სადაც განთავსებულია პრაქტიკული მოდულების ავად მოვლის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინვენტარი: ფუნქციური საწოლით, მანეკენი, მენჯის მულაჟი (ქალისა და კაცის გენიტალიები, შარდსადენი, ნაწლავის სტომის სიმულაციის შესაძლებლობა), შშმ პირის ეტლი, ქირურგიული ინსტრუმენტებით და სხვა შესაბამისი აღჭურვილობა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ კლინიკა რუსთავსა და ჯეო ჰოსპიტალთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურებისა და საკმარისი რესურსებით, დაცულია პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ პირთა და პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობა 1/7.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ობიეტების წარმომადგენლებს, სადაც ხორციელდება პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტი. პრაქტიკის ობიექტზე განხორციელდა შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან და ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, საუბრისას გაირკვა რომ პრაქტიკის ობიექტზე მყოფი პერსონალი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ყოველდღიურ აღრიცხვას, აწარმოებენ ე.წ „დანიშნულების ფურცელს“, პრაქტიკის დღიურს და პრაქტიკული დავალების შესრულების შეფასების ფურცელს. აღსანიშნავია, რომ სწავლების დამამთავრებელი ციკლის პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა დასაქმებულია პრაქტიკის ობიექტებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელებაში ჩართულია 29 პროფესიული განათლები მასწავლებელი, მათი უმეტესობა სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმია, ხოლო 6 მოქმედი ექთანი და თეორიულ მოდულებს განახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი. თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პერსონალის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა იმ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა, რომლებიც ასევე ახორციელებდნენ სწავლებას ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

3. დაწესებულების წესდებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მფლობელი, ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. *აღსანიშნავია, რომ არც ერთ პირად საქმეში არ იყო ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია წარმოედგინა აღნიშნული ცნობები.* მოცემული კომპონენტის შეფასება მოცემულია მე-4 სტანდარტის აღწერისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა აღნიშნეს დაწესებულების ხელმძღვანელობის მზაობა მათ პროფესიულ განვითარებასთან მიმართებაში. ასევე, გამოთქვეს კმაყოფილება, რომ არ აქვთ გამოწვევები მასალა-რეაქტივების შეძენასთან თუ სხვა სასწავლო რესურსთან დაკავშირებით. მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე ყველას გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. დაწესებულების წესდებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესახებ. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი.

ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე - კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - **„საექთნო საქმე“ ჰყავს ბიოლოგიის პროფესიის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელს აქვს ექიმის კვალიფიკაცია.** პროგრამის ხელმძღვანელობის მოვალეობები განსაზღვრულია პერსონალთან დადებული პირობითი ხელშეკრულებით. პროგრამის ხელმძღვანელი არ არის ექთნის კვალიფიკაციის მქონე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ფუნქციას, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესასრულებელი მოვალეობების სპეციფიკისა და შინაარსის თავისებურების გათვალისწინებით (მათ შორის პროგრამის დაგეგმვა, სასწავლო გეგმაში მოდულთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

წინაპირობების დაცვა, მოდულების შინაარსის განახლებაზე/პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა, შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობა, თეორიული და კლინიკური სწავლების პროცესის ადმინისტრირება და სხვ.) პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს კვალიფიკაციით ექთანი.

პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია მათი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელისა და მისი, როგორც მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა ყოველკვირეულად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, რაც დაცულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დამტკიცებული საათობრივი დატვირთვა; ცხრილები).

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა და თანახელმძღვანელმა დაადასტურა მათი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი კურირებს პროგრამის თეორიული კომპონენტის განხორციელებას, ხოლო თანახელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ეფექტურ განხორციელებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს არ აქვს დარგობრივი კომპეტენცია, მას უდასტურდება ბიოლოგის კვალიფიკაცია, ხოლო თანხელმძღვანელი არის ექიმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

5. დაწესებულებაში ცალკე არის გამოყოფილი ბიბლიოთეკის სივრცე (სამკითხველოთი), სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა/ დასკანერება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, მატერიალურად ან/და ელექტრონულად. კოლეჯის ვებ - გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი, სადაც შეყვანილია პროგრამაში მითითებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი (როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით).

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები (თითქმის ყველა პროფესიული მოდულის სასწავლო რესურსი), რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბიბლიოთეკო რესურსის გადამოწმებისა და ინტერვიუირებით (ბიბლიოთეკარი, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, განმახორციელებლები) დადასტურებულია, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ბიბლიოთეკარი არის თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საექთნო საქმე** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი არის 42 პროფესიული სტუდენტი, ხოლო მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 66-ს. ამ ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 14 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტის შედგენისას დაშვებულია რენტაბელობის ზღვარის გაანგარიშებასთან დაკავშირებული შეცდომა, კერძოდ კოლეჯი 66 პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას განახორციელებს 3 ჯგუფად, შესაბამისად დაწესებულებამ ბიუჯეტი უნდა შეადგინოს თითო ჯგუფისათვის, ხოლო რენტაბელობის ზღვარი განისაზღვრება თითოეული ჯგუფისათვის. დაწესებულებას პროგრამის ბიუჯეტის ფაქტობრივი ანალიზი არ წარმოუდგენია. ინტერვიურება ვერ შედგა დაწესებულების ბუღალტერთან, მისი მდგომარეობის გამო, თუმცა კოლეჯის დირექტორმა ისაუბრა პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხებზე და აღნიშნა, რომ ტექნიკური უზუსტობები გასწორდება, ხოლო არარენტაბელური ჯგუფის დაფინანსებისთვის მზადაა დამფუძნებლის ინვესტირების საფუძველზე სრულფასოვნად უზრუნველყოს პროგრამის განხორციელება, იმ მოტივით, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებზე არის მზარდი დასაქმების სტატისტიკა და მათ აქვთ რეალური შესაძლებლობა დასაქმდნენ, როგორც კოლეჯის პარტნიორ დაწესებულებაში, ისე სხვა ორგანიზაციებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, *თუმცა რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარი განსაზღვროს თითო ჯგუფის სწავლებისას, ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივი ხარჯები და შედეგები გაითვალისწინოს მომდევნო ჯგუფის სწავლების პროცესის დაგეგმვისას.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების წესდება;
2. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 27 მარტის N1-17 ბრძანება „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი;
4. დაწესებულების პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები: დაწესებულების პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები: „შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23,02,2023წ.); „შპს ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23.02.2023წ.), შპს „კლინიკა რუსთავი“(28.02.2023წ. ხელშ.); შპს „მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი-რუსთავი“(28.02.2023წ. ხელშ.); შპს ,,ა(ა)იპ ჰოსპისი ფერიცვალება (ხელშ.03.03.2023წ.);
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

7. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ორტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნი საქმე“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები;
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სასწავლო საქმიანობის საათობრივი განაწილების სალექციო ბადე;
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის განვითარების ღონისძიების ჩატარების მტკიცებულება;
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსის ბიბლიოთეკაში არსებობის შემოწმების შედეგები;
13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნი საქმე ბიუჯეტი;
14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
15. კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს გამოკითხვებს, რისთვისაც იყენებს პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმებს. ასევე, შეფასებისათვის გამოყენებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდი.

არსებული მექანიზმის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საექთნო საქმის პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები. მიზანშეწონილობის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამედიცინო ბაზარზე არსებობს კვალიფიცირებული ექთნების კადრების მზარდი მოთხოვნა, შესაბამისად კლინიკათა ქსელები საჭიროებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კვალიფიციურ პერსონალს, რაც დადასტურებულია სააფთიაქო ქსელის პარტნიორების გამოკითხვით. კვალიფიციურ პერსონალს მუდმივად საჭიროებს კოლეჯის პარტნიორი დაწესებულებები, რომლებიც ჩართულნი არიან სწავლების პროცესში.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის, სტუდენტთა მოძრაობის (ჩარიცხვა, შეჩერება, მობილობა შეწყვეტა, დასრულება) სტატისტიკის შესწავლას; პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვას სასწავლო პროცესისა და მოდულების შეფასების მიზნით, კურსდამთავრებულთა და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვას. გარდა შეფასებისა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა ან გაუქმება შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, საკანონმდებლო ცვლილებების, პროგრამის გაუმჯობესების, დახვეწის, უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით ან სხვა გარემოებების საფუძველზე; პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამების კოორდინატორს და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ზემოაღნიშნული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფუძნება დემინგის ციკლს (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე).

პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (სტუდენტთა შედეგების მიღწევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით; ბ) მონაცემების დამუშავება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი; გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/პროგრამების კოორდინატორის და სხვა პირების მიერ; დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა.

ზემოაღნიშნულის დასტურად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამუშაო შეხვედრების ოქმები, დასკვნები, ანგარიშები, კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევის შედეგი და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების (იმავე ან სხვა პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ) დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები, მათ შორის: დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშები და სხვ.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას არც ერთ პირს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება კოლეჯის მიერ მათი მოთხოვნისა და საჭიროების უგულებელყოფის თაობაზე.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა გამოითხოვეს ინფორმაცია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებთან მიმართებით. შესრულებული სამუშაოების მტკიცებულებებად წარმოდგენილია: კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი; პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვების მასალა, შეხვედრების ფურცლები, ოქმები, სამუშაო შეხვედრების ფოტო - მასალა. ამ ეტაპზე დაწესებულებას უკვე შემუშავებული აქვს როგორც კვლევის კითხვარები, ასევე კვლევის მეთოდოლოგია. ასევე, წარმოდგენილი იქნა მოდულების შეფასების ფორმები, ხარისხის მართვის მენეჯერის 2021- და 2022 წლების ანგარიშები პროგრამის განვითარების მიზნით გაწეული სამუშაოს თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის მენეჯერის 2022 – 2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსის განვითარებას, დაინტერესებული მხარეების კვლევების ჩატარებას, პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით ანგარიშგების წარდგენასა და პროგრამების განვითარებას. ასევე, საექთნო საქმის პროგრამის შეფასებისა და განვითარების ფარგლებში დაწესებულებას დაწყებული ახორციელებს ვერიფიკაციის პროცესი, რომლის შედეგების გამოიყენება პროგრამის განვითარების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 მარტის №1-17 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **საექთნო საქმე** და მისი დანართები;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები, მათ შორის: დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშები და სხვ.;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - საექთნო საქმე ცვლილებების განხორციელების მტკიცებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

5. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ანგარიშები, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მტკიცებულებები, ანგარიშები;
6. კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებს. კოლეჯში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა სასწავლო გეგმებთან შესაბამისობაში, ასევე შესწავლილი იქნა არსებული პრაქტიკა. პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილია ყველა სასწავლო მოდული და განსაზღვრულია სასწავლო კვირების რაოდენობა და დაგეგმილია გადაბარების კვირა იმ მოდულებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს მეორე მოდულზე დაშვების წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის კვირეული საათობრივი დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს.

პროგრამის კლინიკური კომპონენტის განხორციელებას კოორდინაციას უწევს პრაქტიკის და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი, რომლებიც სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ პროფესიული სტუდენტების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სტუდენტებს ანაწილებენ პარტნიორ კლინიკებში მათი რაოდენობის, პროგრამის, მოდულის და მოდულით განსაზღვრული საათების შესაბამისად.
დაწესებულებაში სწავლება ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, კოლეჯსა და კლინიკებს შორის შეთანხმებულ ვადებში და მისამართზე. აღნიშნული დადასტურებულია დოკუმენტურად და კლინიკების წარმომადგენელთან ინტერვიუირებით.

კოლეჯში მეცადინეობები ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სალექციო ცხრილების და სასწავლო განრიგის შესაბამისად, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

მეცადინეობათა ცხრილი განთავსებულია დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ან ეცნობება დაინტერესებულ პირებს დაწესებულებაში მოქმედი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი.

პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების განაწილების შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა დამტკიცებული სასწავლო ცხრილების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული გათლების მასწავლებლებს. დადასტურებულია კალენდარული გეგმების არსებობა და სასწავლო გეგმის, მოდულისა და კალენდარული გეგმების შესაბამისად მეცადინეობათა მიმდინარეობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, ფორს-მაჟორული გარემოებების, დაწესებულებისგან დამოუკიდებელი გარემოებების ან სხვა წინასწარ უცნობი გარემოებების/საჭიროებების შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება/შეუძლებელია დადგენილი სასწავლო პროცესის განხორციელება/სასწავლო გეგმის დაცვა, სასწავლებელი მოქნილად რეაგირებს აღნიშნულ გარემოებებზე და პროფესიულ სტუდენტებს უქმნის მათ ინტერესებზე მორგებული პირობებით ადეკვატური განათლების მიღების შესაძლებლობას -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

დასწრებითი ფორმატის სასწავლო პროცესის ჩანაცვლებას ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით. სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიდგომები. დაწესებულებამ უზრუნველყო პროფესიული სტუდენტისთვის და მასწავლებლისთვის ელექტრონული პლატფორმის მომხმარებლის პროფილების შექმნა და ტექნიკური მხარდაჭერა. შემუშავდა რეგულაცია სასწავლო პროცესის ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით წარმართვის თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული ინიციატივების, მათ შორის ხარისხიანი პრაქტიკული სწავლების კუთხით და დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები და მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3. დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების წესით განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯ „არსის“ „სსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეესაბამება საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და გონივრულ ვადაში იძლევა პროგრამის დასრულების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4. დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კლინიკებთან - „შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23,02,2023წ.); „შპს ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23.02.2023წ.), შპს „კლინიკა რუსთავი“(28.02.2023წ. ხელშ.); შპს „მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი-რუსთავი“(28.02.2023წ. ხელშ.); შპს ,,ა(ა)იპ ჰოსპისი ფერიცვალება (ხელშ.03.03.2023წ.);. ხელშეკრულებებით დარეგულირებულია: მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და კლინიკებს შორის კოორდინაციის საკითხები. ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის თაობაზე - განსაზღვრულია კომპანიის ბაზაზე მისაღწევი მოდულების/ სწავლის შედეგების დასახელება. კლინიკები აცხადებენ მზაობას ერთდროულად მიიღონ 66 პროფესიული სტუდენტი. გათვალისწინებულია მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება, კვალიფიციური კადრებით სწავლების უზრუნველყოფა. ხელშეკრულებაში დანართის სახით მოცემულია სრულყოფილი ინფორმაცია მატერიალურ - ტექნიკური ბაზისა და ასევე, ხელმისაწვდომი მასალა- ნედლეულის თაობაზე.

კურსდამთავრებულებთან და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენელთან ინტერვიურებით დადასტურებულია პროფესიული მოდულების ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. ზემოაღნიშნული კლინიკები ამავე დროს კოლეჯის კურსდამთავრებულთა დამსაქმებელნი არიან. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით, კლინიკებს აღებული აქვთ ვალდებულება, რომ სწავლების დასრულების შემდეგ იზრუნებენ ქსელში არსებულ ვაკანსიებზე კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საექთნო განათლება** ფარგლებში დაწესებულების მიერ შემუშავებულია დარგობრივი ინსტრუქციები, რომელიც გამოკრულია ლაბორატორიაში და ინდივიდუალურადაც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯ „არსის“ „სსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია;
2. ,,ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ინსტრუქცია“;
3. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **საექთნო საქმე** და მისი დანართები;
4. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები, მათ შორის: დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშები და სხვ.;
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - **საექთნო საქმე** ცვლილებების განხორციელების მტკიცებულებები;
7. პარტნიორ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები: „შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23,02,2023წ.); „შპს ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ.23.02.2023წ.), შპს „კლინიკა რუსთავი“(28.02.2023წ. ხელშ.); შპს „მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი-რუსთავი“(28.02.2023წ. ხელშ.); შპს ,,ა(ა)იპ ჰოსპისი ფერიცვალება (ხელშ.03.03.2023წ.);
8. კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მესამე თავი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შუალედური შეფასების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №1-30 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯი „არსის“ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები. ასევე, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №1-32 ბრძანებით დამტკიცებულია „კოლეჯი „არსის“ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესის და პირობები“, სადაც გათვალისწინებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები და გაწერილია შუალედური შეფასების წესი და პროცედურა.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ/ის/ების/ თემატიკაზე დაყრდნობით; მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, თუმცა, **ვალიდაციის პროცესში იშვიათად არიან ჩართულნი დარგის სპეციალისტები. დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა ჩართოს ვალიდაციის პროცესში დარგის სპეციალისტები.** ვალიდური განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი ინახება დაწესებულების ინსტრუმენტების ბანკში და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდგომი შეფასების მიზნებისთვის. პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგების შეფასება აისახება შეფასების ფურცელში/ჩეკლისტში.

ექსპერტებმა გამოითხოვეს რამდენიმე შეფასების ინსტრუმენტები. დარგის ექსპერტმა შინაარსობრივად გადაამოწმა შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც მისი შეფასებით იყო ვალიდური. დაწესებულებამ წარმოადგინა საექთნო საქმის პროფესიულ სტუდენტთა საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტები. საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარებულია როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

კოლეჯში არ ყოფილა გასაჩივრების შემთხვევა, თუმცა, დაწესებულებას აპელაციის წესი განსაზღვრული აქვს.

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ყურადღება გამახვილდა შეფასების სისტემაზე. პროფესიულ სტუდენტებმა ისაუბრეს შეფასების კრიტერიუმებისა და განმსაზღვრელი შეფასების თაობაზე ინფორმირების მექანიზმის შესახებ.

არსებული დოკუმენტაციის (ინსტრუმენტები, უწყისები, მტკიცებულებები) შეფასებით, მასწავლებელთა, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუს საფუძველზე, ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, ***თუმცა რეკომენდებულია პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასება გათვალისწინებული იქნეს სასწავლო გეგმაში. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის, რეკომედებულია დაწესებულებამ პროცესში ჩართოს დარგის სპეციალისტი.***

2. დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს ვერიფიკაციის ჩატარების წესსა და პროცედურას. დაწესებულების პერსონალთან ინტერიუირებით დადგინდა, რომ საექთნო საქმის პროგრამაზე წინა წლებში სრულყოფილი ვერიფიკაცია არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

იყო ჩატარებული და ვერიფიკაციის ზემოაღნიშნული წესის შემუშავების შემდეგ შეიმუშავეს ვერიფიკაციის გეგმა და დაწყებული იყო ვერიფიკაციის პროცესი.

კოლეჯი ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, ხოლო ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელშიც ვერიფიკატორის სტატუსით შედიან დარგის სპეციალისტ/ებ/ი და საჭიროების შემთხვევაში სხვა პირები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუირების პროცესში აღინიშნა, რომ ვერიფიკაციის პროცესი გრძელდება და მიღებული შედეგები გამოიყენება ხარისხის განვითარების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება (ლექციებზე დასწრების აღრიცხვის ფურცლები, ტესტები, პროექტები, შემფასებლის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება პროგრამების კოორდინატორთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტის მიერ ელექტრონული სახის პროდუქტი იწერება ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება პროგრამების კოორდინატორთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულება/პროდუქტი ინახება იმგვარად რომ შესაძლებელია მათი აღრიცხვა, რეგისტრაცია და ავტორ/ებ/ის იდენტიფიცირება.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები, მათ შორის, პრაქტიკის ობიექტებიდან მოტანილი მტკიცებულებები. დაათვალიერეს კოლეჯის არქივი. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

4. სასწავლო პროცესის რეგულირების წესით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების მიღწევის დონე სწავლის შედეგებთან მიმართებაში და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. რეგულაციის გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით და ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.
განმავითარებელ შეფასებას ემსახურება შუალედური შეფასებაც, რომელიც ახალი რეგულაციის მიხედვით დაინერგება კოლეჯში.

ინტერვიუირებით დადასტურდა მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათ შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N1-09 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 04 ორტომბრის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების წესები;
3. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N1-32 ბრძნებით დამტკიცებული „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი კოლეჯი „არსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის“;
4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N1-30 ბრძნებით დამტკიცებული „კოლეჯი „არსის“ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები“;
5. საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინსტრუმენტი, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის ნიმუშები;
6. საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდის მტკიცებულებები;
7. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და მტკიცებულებები;
8. მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთ ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრულ რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

XII. ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია / სააფთიაქო/
პროფესიული განათლების დონე	V
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)

პროგრამის განხორციელების ადგილი	რუსთავი, აფხაზეთის ქ. N 12 (ყოფილი- ჟ. შარტავას გამზირი N 4)
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	32
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	---

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

31.07.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2023)